

რვაენი

ფრეომა

NOTRE DRAPEAU "

832
1961

დაარსებულია ნოე შორღანის მიერ.

N° 36

Directeur: MICHEL STOUROUA.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

- პ. ს.—მძიმე განსაცდელი.
- რ. არსენიძე—ირაკლი წერეთლის ხსოვნას.
- მ. ბენიშვილი—ბოლშევიკური ტყუილები.
- გლოვის დღე.
- ისარნი.—ლაჩრული თავდასხმა.
- კ. კანდელაკის შრომა.
- 26 მაისი უცხოეთში.
- უცხოეთში გარდაცვლილნი და სხვ.

პარიზი.

ექტემბერი.

Paris.

1961

ომის რისხვა კაცობრიობას თავს დასტრიალებს, უდიდეს შთაგონებაში ავდებს. ნორმალურია, რომ იგი ეძებს გზებს მის ასაცდენათ, რადგან იმ საშვალეებებით, რომლებიც ორივე დაპირისპირებულ მხარეს გააჩნია—ქვეყნიერებას მოელის სრული განადგურება, ისე რომ შეიძლება გამკითხავიც აღარავინ დარჩეს.

დღევანდელ კოსმიურ და ატომიურ ეპოქაში თითოეულ ერთა ცხოვრება ისე ერთი-მეორეს გადაება, ერთი-მეორეს დაუკავშირდა, ერთი მეორესგან დამოკიდებული გახდა, რომ საერთაშორისო პოლიტიკაც უნდა გამჭვალულყო პუმანიტარული სულისკვეთებით, ერთი-მეორეს გაგებით, ჩავრულ ერთა სრული განთავისუფლებით, ერთი ადამიანთა უფლებისა და ღირსების დაცვით... ეს შესაძლებელი იქნებოდა. რომ დასავლეთის თავისუფალ ქვეყნებს ბოლშევიზმის არსი და ბუნება გაეგო, ლენინის აღსარება სერიოზულად მიეღო და მისთვის ანგარიში გაეწია.—რომელიც ამხელდა: «ჩვენ არ ვმალავთ რომ ჩვენი რევოლიუცია არის მხოლოდ დასაწყისი და ის გამარჯვებს მხოლოდ მაშინ, როცა შეგვეძლება ცეცხლი დავანთოთ მთელ ქვეყნიერებაზე». თუ ლენინის სურვილის განხორციელება შეუძლებელი შეიქნა, საერთაშორისო რევოლიუციის მოხდენას თანდათანობით ნიადაგი გამოაცალა თავისუფალ ქვეყნების მოლონიერებამ და მუშათა კლასის შეგნება—კომუნისტური ტაქტიკაც შეიცვალა, რევოლიუციის მოხდენა სხვადასხვა ქვეყნებში შესაძლებლად იქნა მიჩნეული ზევთან; რუსული კომუნისმის გარეთ გატანა დაევალა სამხედრო ძალას, რისთვისაც სტალინი აძლიერებს ჯარსა და პოლიციას, აწვითარებს და ამაგრებს მძიმე ინდუსტრიას.

ცხადია, ეს მოითხოვდა დიდ მსხვერპლს, დიდს მოთმენას, რაც იწვევს ხალხის გალატაკებას და სტალინის სასტიკ ტერორს, რომელიც არ მალავს და საჯაროთ აღიარებს: «მიზანი ჩვენი სტრატეგიისა არის დროს მოგება, რომ შესაძლებელი გახდეს მოწინააღმდეგეთა გახრწნა და შემდეგ შეტევაზე გადასვლა»... ამ მხრივ მის სამხედრო საშუალებას მიღწევაც დაუურჩა. ოკუპაცია უყო ბალტიის ქვეყნებს და გაბატონდა ცენტრალურ ევროპაში, თუმცა უკანასკნელში მას იალტაც წაეხმარა...

სტალინის სიკვდილმაც შესცვალა კომუნისტური ტაქტიკა მსოფლიოზე გაბატონებისთვის. შიგნით იგი გამოიხატა მოჩვენებითი «ლიბერალური» ზომების გატარებით, რათა ხრუშჩოვს საშვალეება მისცემოდა ხელისუფლება დაემაგრებია, ხოლო სავარყო ფრონტზე გახსენებული და გამოტანილი იქნა ლენინის ანდერძი,—განსაკუთრებულ პერიოდში თანაარსებობის თეორიის გასატარებლად, რომელიც თავის მზა-



კვრული ტაქტიკით უფრო მახვილია, რასაც მოწმობს 81 ქვეყნის კომპარტიის მანიფესტი და თვით სრუშჩოვის აღსარება, რომელიც ყველაზე უკეთ ამხელს თანაარსებობის ნამდვილდანიშნულებას: «თანაარსებობა—ამბობს ის—ეს არის ბრძოლის გაგრძელება ორ სოციალურ სისტემას შორის, მაგრამ არა ბრძოლებით, არა ომის საშვალეობით—არამედ მშვიდობიანი გზით»...

მაშასადამე ლენინ-სტალინ-სრუშჩოვის აღსარება ნათელყოფს—რომ თავიდანვე დასახული მიზანი არ შეცვლილა; იმპერიალისტური ზრახვები—«სოციალისტურ დროშის» ნიღაბ ქვეშ გრძელდება... მოსკოვმა ვერ მოითმინა თავის გვერდზე თავისუფალი დემოკრატიული საქართველო, დღეს მას აწვავლებს, აფრთხობს, აშინებს თავისუფალ ბერლინის არსებობა. აქ გამოჩნდა ორი პოლიტიკური მართველობის ავ კარგი: ერთის მხრივ ეკონომიური სიბეჭავე, სიღარიბე, სიღვრეოვე, ადამიანის პიროვნების დამცირება, დამონება—მეორე მხრივ—ნივთიერი დოვლათი, სიუხვე, თავისუფალი შემოქმედება, თავისუფალი კრიტიკა, თავისუფალი აზროვნება...

აღმოსავლეთიდან ათასობით მცხოვრებნი სტოვებენ სახლ-კარს, რომ თავისუფლად ამოისუნთქონ, ადამიანურ ცხოვრების პირობებს ეზიარონ... მოსკოვი შეშფოთდა, ის ცდილობს შებოჭოს თავისუფლება, რომ არ იქნას მისი სამყარო შენგრუელი. თავისუფლების მიმზიდველი ძალა აღმოჩნდა უძლიერესი საშიშარი იარაღი მოსკოვისთვის და იგიც ცდილობს მის აღკვეთას... სრუშჩოვს წინ აღუდგა ჯერ-ჯერობით მტკიცე და ურყევი ფრონტი თავისუფალ ქვეყნების, რომლებიც აქნობამდე საკუთარ თავის დაზღვევით, თავდაცვით კმაყოფილდებოდნენ და დათმობით ფიქრობდნენ თანაარსებობის დამკვიდრებას... თუ დღეს რამოდენიმეთ წარმოებული შეტევითი პოლიტიკა კიდევ შენელდა, თუ მოკავშირეთა მეწყეობა გამოჩნდა, თუ ბერლინიდან თავისუფლების დროშა ჩამოიხსნა, შეუძლებელია გათვალისწინება იმ დიდი უბედურების, რაც კაცობრიობას წინ დაუდგება... და ამ განსაცდელისგან არც ერთი ერის არსებობა არაა დაზღვეული. თუ მცირე, პყრობილ ერის შესაძლებლობას აღმატება წინ აღუდგეს მოსალოდნელ საფრთხეს, მისი ეროვნულ ძალების მოქმედებისგან უნდა გამოარიცხულ იქნას ისეთი მოქმედება, რომელსაც შეუძლია საგარეო თავდასხმა მიიზიდოს, ან კიდევ სახლში მყოფ მპყრობელ ძალის რისხვა გამოიწვიოს. ჩვენს ქვეყნის გეო-პოლიტიკური ვითარება ქართველ ერს ამ ერთა მდგომარეობაში აყენებს... ჩვენ გვწამს, რომ მისი პოლიტიკური შორისმჭვრეტელობა, მას გამოიყვანს უვნებლად ამ უდიდეს მოსალოდნელ და შესაძლებელ განსაცდელისგან; იგი მტკიცეთ ატარებს თავის გულში ეროვნულ თავისუფლების დროშას და უცდის თავის დროს...

3. ს.

ირაკლი წიგნების ხსოვნას.

ღრმე წლის წინეთ, 21 მაისს, დაგვარგეთ უდიდესი ადამიანი და დიდი ქართველი მოღვაწე ირაკლი წერეთელი. აქ ვათავსებთ მის მოხაგონად რ. არსენიძის სიტყვას, რომელიც მან წარმოხატა ირაკლის ხსოვნად გამართულ საღამოზე.

რედაქცია.

მეგობრებო თანამემამულენო!

შეიძლება ბევრი არ დაფიქრებულა, თუ რა დიდი ადამიანი დაგვარგეთ ირაკლი წერეთლის სახით. დიდი, როგორც თავის სულიერი სისპეტაკით, გრძობათა სიწმინდით, ისე ნათელი გონებით, ღრმა დაკვირვებით, მომავლის მუდმივი განჭვრეტით.

შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ მთელი მისი არსება ჯანი, ღონე, სიცოცხლე, მთელი მისი პოლიტიკური მოღვაწეობა ეწირებოდა ადამიანის და ერის თავისუფლებას, განსაკუთრებით კი ქართველი ერის წმინდა უფლებათა აღდგენას, დაცვას, განმტკიცებას; რომ იგი გახდა რევოლუციონერი და სოც.-დემოკრატი პირველყოფლისა იმიტომ, რომ მუშათა მოძრაობაში დაინახა მთავარი ძალა და გარანტია ქართველი ერის აღორძინებისა, განახლებისა, უფლებამოსილად განდგომისა; რომ მისთვის მუშათა პრობლემა, თავისუფლება, რუსეთის რევოლუცია, საერთაშორისო ურთიერთობა, მსოფლიო დემოკრატია, ყველა ეს იყო პირველ ყოვლისა სამოქმედო ასპარეზი თავის ერისათვის საკაცობრიო ოჯახში ღირსეული ადგილის მოსაპოვებლად.

მე კი ჩემდათავად, არ ვიცი, რა ძალას შეუძლია მისი ნათელი სახე: ერთხელვე ჩემს გულში ჩაჭედოლი, იქიდან ამოიღოს.

მე ირაკლის ახალგაზდობიდანვე ვიცნობდი, ერ თად ვთანამშრომლობდით ეურნალ «კვალში» მისი არსებობის უკანასკნელ წელს (1903—4). ერთად გადავიხადეთ ამ ეურნალის ათი წლის თავი. და რამდენი მილოცვა მოგვედიოდა ყოველი მხრიდან, განსაკუთრებით მშრომელთა წრებიდან, სოფლიდან და ქალაქებიდან!

ყოველივე ამას ვიგონებ იმიტომ, რომ ირაკლი წერეთელი იყო მაშინ მთავარი რედაქტორი ამ ყოველ-კვირეულ ეურნალ «კვალის», ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა პირველი კონფერენციის მიერ არჩეული ამ პოსტზე 1903 წელს.

ცნობა ირაკლის არჩევის შესახებ ნოე რამიშვილმა მახარა რედაქციაში. იგი ბათობიდან იყო დელეგატთა ამიერ-კავკასიის კონფერენციაზე და ერთი მთავარი ინიციატორთაგანი იყო ირაკლის ამ პოსტზე არჩევისა.

ირაკლი გახლდათ პირველი ახალგაზრდა (სულ 22 წლის), რომელსაც ასეთი ნდობა გამოუცხადეს. და რა სასიხარულო უნდა ყოფილიყო მისთვის, რომ მისი მამის, გიორგის დაარსებულ ჟურნალში მოუხდა რედაქტორობა. მე უკვე გამოვლილი მქონდა ამ ჟურნალში რამდენიმე რედაქტორის დეთაურობა ფილიპე გოგიჩაიშვილის, ნიკო ელიაშვილის, დიმიტრი თოფურაძის—ყველა ძველი თაობის იყო. ირაკლი კი ჩემ თაობას ეკუთვნოდა. იგი უნივერსიტეტიდან გამორიცხული სტუდენტი იყო, ციმბირს—გადასახლებიდან ახლად ჩამოსული.

მახსოვს და განა შეიძლება დაივიწყოს კაცმა, რა გულმოდგინეთ ეკიდებოდა იგი ჟურნალის იდეურ ამბლებას! რა მეგობრული სული დაატრიალა მან რედაქციის თანამშრომლებში! თავის მხრივ ირაკლის დიდი ნდობა ჰქონდა თანამშრომლების, მაგრამ მათგანაც ასეთსავე მხურვალე ერთგულებას მოითხოვდა მინდობილი საქმისადმი. ეს იყო ნახევარი საუკუნე—1903 წელს, დიდხანს არ გაგრძელებულა ჩვენი თანამშრომლობა, მაგრამ იმ მოკლე ხანში, რაც ერთად გავატარეთ, მე დავრწმუნდი, უფრო კი მთელი ჩემი არსებით ვიგრძენი, შევიცანი, რომ დიდ ბუნებოვან ადამიანთან მარჯუნა ბედმა თანამშრომლობა. არც ერთი ინციდენტი, არც ერთი უსიამოვნო სიტყვა ჩვენს რედაქციაში არ გამოვიჩინა. სოლიდარობა და ერთობა იყო სრული. შეიძლება ეს იმის შედეგიც იყო, რომ ირაკლი რედაქციის ყველა თანამშრომელს ისე ეპყრობოდა, როგორც თავის სულის თანახმარს.

მახსოვს ერთი ამბავი: კვირეულ მიმოხილვას წერდა არსენ კალანდაძე, რომელიც სამწუხაროთ ადრე გარდაიცვალა. აი იმან დასწერა, რუსეთის ერობაში ერთი გლეხი დეპუტატის მიერ ნათქვამი ფრაზა: «რომ ამ გლეხს, თავის წარსული სძულს, აწმყო ეჯავრება და მომავალს იმედით შეჰყურებს». ჩვენმა ნაციონალისტებმა ამ ფრაზაში ჩვენი ერის ისტორიის შეურაცხყოფა ამოიკითხეს. ჩვენი პოლიტიკური მეგობრებიც ამიერ-კავკასიის სოც.-დემ. პარტიის კომიტეტიდან მიხაკა ცხაკაიას მეთაურობით მოგვადგენ კარზე და მაგარი კამათი აგვიტეხეს. მიხაკა ცხაკაია თამარ მეფეზე გვითითებდა: ახალგაზრდებმა უნდა იცოდეთ, რომ საქართველოს დიდი და სახელოვანი ისტორია აქვსო, და სხვ.

ირაკლიმ დიდის სიდინჯით განუმარტა მას, რომ აქ ლაპარაკია არა ისტორიის უარყოფაზე, არამედ ისტორიულად დაბეჩავებული კლასის სულიერ განწყობილებაზე თავის მძიმე ხვედრის გამო, რომელიც მწარე იყო და უნდა შეიცვალოს. დავამშვიდეთ უფროსი თაობა. «კვალშიაც» გამოვიდა ირაკლის განმარტება ამ საკითხზე. ყველას ეგონა. რომ ეს ფრაზა ირაკლის ეკუთვნოდა და ამიტომ მოახდინეს მანზე თავდასხმა, მაგრამ მას ერთხელაც არ წამოცდენია—იგი სხვა ავტორის კალამს ეკუთვნისო. რედაქცია მე მბაბრია, მე ყველას

მაგიერ ვაგებ პასუხსო, ასეთი იყო მისი შეხედულება. ეს პატარა ამბავია, მაგრამ რამდენად დამახასიათებელი საყვარელი კაკის დიდბუნებოვანი თვისებების, მისი გამტანობის, ამხანაგური თანაზიარობის და თავის საკუთარი პასუხისმგებლობის გრძნობის, რომელსაც ეს 22 წლის ახალგაზრდა იჩენდა. ამ ამბავს ვიგონებ კიდევ იმისთვისაც, რომ იგი არავინ იცის, და სიმართლე უნდა აღდგენილ იქნეს.

«კვალმა» ირაკლის ხელში უფრო რევოლიუციური ტონი აიღო. დროც ისეთი იყო. მუშათა რიგებს რევოლიუციური სული სვეთება ფართოთ ედებოდა. დიდი გაფიცვები იყო 1903 წლის გაზაფხულზე მთელ რუსეთში და ჩვენშიც. იმდენათ დიდი სტიქიური ხასიათი მიიღო ამ მოძრაობამ, რომ მახსოვს თბილისის კომიტეტის სახელით, რომლის თავმჯდომარე ირაკლი იყო, —იმ დროის გამოცემული პროკლამაცია —ასე იწყებოდა: «ამხანაგებო, ჩვენ ვაცხადებთ განგაშს. ადვილათ შეიძლება ეს სტიქიური მოძრაობა რევოლიუციით იქცეს და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ!» ასეთი იყო სულიერი განწყობილება მაშინდელ ხელმძღვანელობაში. ვასაკვირელი ისაა, რომ «კვალი», ლეგალური ორგანოც, თავს ვერ იკავებდა, ხმას იმაღლებდა: ამიტომ ოფიციალური ცენზურა «კვალზე» ძალიან გაჯავრებული იყო. ხშირად 10 წლის თავის მოლოცვის წერილებსაც კი ამოგვიშლიდნენ ხოლმე. ერთ დღეს მთელი ქრონიკაც კი აგვიკრძალეს, სხვადასხვა გაზეთებიდან ამოღებული: მიზეზი? — ამბები ისე შეგიჩრჩევიათ, რომ მკითხველი იფიქრებს მთელ რუსეთს ცეცხლი მოსდებიაო! —განვიმართა სასტიკმა ცენზორმა. ეს მოულოდნელი იყო ჩვენთვისაც. შევსებაც სწრაფად არ შეიძლებოდა და იმ ნომერში მთელ ერთ გვერდზე ვებებრთელა სურათი გავუშვიტ, რომლის კლიშე რედაქციაში მოვანახეთ..

ირაკლი ამ დროს თბილისის სოც.-დემ. პარტიის კომიტეტის თავმჯდომარედაც იყო და რედაქციისაგან თავისუფალ დროს არალეგალურ მუშაობას ანდომებდა.

ვფიქრობ, მნიშვნელობას მოკლებული არ იქნება აქვე გავიხსენო გიორგი წერეთლის მეორე მეუღლე ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, რომელსაც უსაზღვრო სიყვარული ქონდა ირაკლისადმი და არაჩვეულებრივად სწყინდა, რომ ირაკლიმ ბინა ცალკე გაიჩინა. მიზეზი ის იყო, რომ ანასტასია —ეს დიდათ პატივცემული საზოგადო მოღვაწე, პირველი საბავშვო ქურნალის «ჯეჯილის» რედაქტორი იყო. ამ ქურნალის და მისი რედაქციის საფრთხეში ჩადგება არ უნდოდა ირაკლის და ამიტომ ცალკე აიღო ბინა. მაგრამ მისთვის მიზეზი არ გაუშხელია და სამაგიეროთ მე მხვდებოდა ანასტასია საყვედურებით: ჩემი კაკი — რატომ გინდათ მე დამაშოროთო. ეს იყო ადრე, ირაკლის რედაქტორათ დანიშვნამდე. ამავე სიფრთხილის გამო, იძულებული ვიყავით ანასტასია «კვალის» ოფიციალური რედაქტორის მოვალეობიდან გავვეთა-

ვისუფლებია. ვფიქრობ, რამდენათ მისთვის ე. ი. ანასტასიას-თვის, სასიამოვნო იქნებოდა მისგან და მისი მეუღლისგან დაარსებული «კვალი» გიორგის ვაჟის, ირაკლის რედაქტორობის ქვეშ ეხილა. მაგრამ კონფერენციამდე, რომელიც 1903 წ. გაზაფხულზე შედგა, ჩვენ არ გვიფიქრია, რომ ირაკლი გახდებოდა მთავარი რედაქტორი «კვალის». ამიტომ ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისას მაგიერ ოფიციალურ რედაქტორათ ავიყვანეთ ვინმე ჯამბაკურიან-მესხიშვილი, ყოფილი მაზრის უფროსი, პენსიაში გასული მოხუცი. ირაკლის მის ხელში მოუხდა მუშაობა და ამით ერთი დამატებითი გასაპირი დაადგა «კვალს» და მის ახალგაზრდა ხელმძღვანელს.

ოფიციალური რედაქტორი დააფეთა ჟურნალის მღელვარე ტონმა და მან კატეგორიულად გამოგვიცხადა. რომ გარეშე მისი დასტურისა არცერთ წერილს არ გაუშვებდა. პოლიტიკის ბევრი არაფერი ესმოდა, მაგრამ მაშინდელ შეზღუდულ ცენზიან ერობის წინააღმდეგ თუ რამეს დაეწერდით, ცისფერი კარანდავით გვიშლიდა. ცენზორთან გვიჩივლა და მოითხოვა მის ხელმოუწერლათ არც ერთი წერილი არ გაეშვა. გაგვიხდა ორი ცენზურა: შინაური და ოფიციალური. ხშირათ შინაურ ცენზორის წაშლილს ოფიციალური ნებას რთავდა. ხოლო სხვა რამეს შლიდა. ვიყავით გაქირავების ორ ცეცხლში ჩავარდნილი.

ირაკლის უხდებოდა ამ მოხუც ოფიციალურ რედაქტორთან დიპლომატიური მოლაპარაკების წარმოება. ეს კი არც ისე ადვილი საქმე იყო. ბოლოს ვედარ ავიტანეთ თანამშრომლებმა და მივადექით ირაკლის. ვუთხარით: ამას ბოლო უნდა მოვდოს, თორემ ასე ჟურნალის წარმოება შეუძლებელია. თვითონაც ჩვენზე არა ნაკლებ იტანჯებოდა. ბოლოს ირაკლიმ იკისრა პასუხისმგებელ ამხანაგებთან ერთად მოგვეწვია თათბირი კბილის ექიმის ვარლამ ჭიჭინაძის ბინაზე და იქ საბოლოოთ მოლაპარაკებოდა ჩვენს ჯიუტ რედაქტორს. ამ თათბირზე დიდი დავისა, მუქარისა, ხვეწნა-მუდარისა და დაპირებების შემდეგ, მოხუცმა დაიქნია ხელი და გვითხრა: აჰა, შემჰამეთ და ეს არისო, და მოგვანება ხელში ჟურნალი. მაგრამ, რა ვიცოდით, რომ ჟურნალი უფრო დიდ ხიფათში ვარდებოდა! გახეთიკი ამ დროს მეტათ პოპულარული გახდა. ირაკლი ჩვენზე მეტათ იყო აღფრთოვანებული იმით, რომ «კვალი», რომელიც 1.200 ცალამდე იბეჭდებოდა, ორი მესამედი ხელის მომწერლებისა და ნომრობით მყიდველებისა მუშათა უბნებში ჰყავდა, უმთავრესად თბილისში და ბათომში.

1904 წლის დამდეგს, «კვალი» დასახურავათ წარადგინეს. რედაქციის წევრები დაგვიჭირეს. ორი თვის შემდეგ მე დროებით სოფელში გადამასახლეს. ირაკლი კი ნ. ნიკოლაძის დახმარებით საზღვარ გარეთ წავიდა. ერთმანეთს დავშორდით. შემდეგი შეხვედრა პირადათ მასთან მქონდა 1906 წელს. როცა მეორე სახელმწიფო სათათბიროში გასაგზავნ სადგაპუტა-

ტო პირებს ვასახელებდით. პარტიულ ბიუროში, ირაკლის კანდიდატურა მე წამოვაყენე. სხვები მას ნაკლებათ იცნობდნენ. მისი მჭერმეტყველების ნიმუში მე ერთხელ მეტათ არ მომისმენია. გაგონილი კი მქონდა სტუდენტებისაგან მისი ორატორული ნიჭის შესახებ მე ისე ღრმად მქონდა გულში მისგან მიღებული მტკიცე შთაბეჭდილება მისი დიდი ადამიანური ღირსებების, რომ იქვე განვაცხადე, მისი სახით ჩვენი გვყავს უდაოთ სალიდერო პიროვნება სოც. დემ. მ. პარტიის ფრაქციისათვის და ჩინებული ორატორი მეთქი... ყველას გაუკვირდა, მით უმეტეს, რომ თბილისიდან არჩილ ჯაფარიძე იყო დასახელებული, კაცი გონიერი, ნაკითხი, ნათელი აზრის და დიდი ცოდნის ადამიანი, და თბილისელ ამხანაგებს იგი უფრო მიაჩნდათ სალიდერო პოსტზე გამოსადეგათ. არჩილ ჯაფარიძეს ორატორული ნიჭი არ ჰქონდა მაგრამ მართლაც ერთი უდავო მეთაურთაგანი იყო სოც. დემ. მ. პარტიის ფრაქციის ირაკლისთან ერთად. ეს მე ბევრი მაშინდელი სოციალ-დემ. ფრაქციის წევრებისგან მომისმენია საქართველოშიაც და უცხოეთშიაც.

ირაკლის კანდიდატურის დასაბუთება გაუკვირდათ, მაგრამ მისი კანდიდატურა ერთხმად იქნა მიღებული. ხოლო მისთვის შეტყობინება მევე დამავალეს.

ქუთაისში ჩავედი. იქ ის თავის დეიდა კატო ნიკოლაძესთან იყო საზღვარ-გარეთიდან ახლად ჩამოსული. ვიცოდი, რომ ის ზედმეტი შრომით და მეცადინეობით დიდათ იყო გადაქანცული. მაგრამ ის კი აღარ მეგონა. თუ გაზეთის კითხვაც აკრძალული ქონდა და დეიდა კატო, მისი აღმზრდელი. ხომ სულ თვალს არ ამორებდა, თავს ევლებოდა: ჩემს კაკის არაფერი გაუჭირდესო.

ირაკლის იმ დღეს გაზეთები მე წავეუკითხე. ძველი და ახალი გავიხსენეთ. აღარ ვიცოდი, ამ ავთმყოფი ადამიანისთვის მეთქვა, რისთვისაც ჩამოვედი, თუ თავი შემეკავებია! მაგრამ სხვაგზა არ იყო: მივეუჯედი გვერდით და ბოდიშის კილოთი გადავეცი, რა დავალებით ვიყავი მასთან ჩამოსული. წარბ შეუხრელად მიიღო პარტიის ნდობა და რევოლიუციის სამსახური! მის სახეზე არაჩვეულებრივი სიხარულის და მტკიცე ნებისყოფის გამოსხივება შევნიშნე:—რასაკვირველია, ვიღებ—იმვე კილოთი იყო ნათქვამი. როგორც კვალისა რედაქციაში ვიყავი მის მტკიცე სიტყვას შეჩვეული. კატომ, როცა ის სახე გაბრწყინებული დაინახა—იფიქრა ძველი მეგობრის ნახვამ გაამხიარულაო და ჩამაცივდა, სადილათ უნდა დარჩეო. მაგრამ, როცა სადილზე გაიგო, თუ რა ამბავი ჩამოვეუტანე კაკის, საშინლათ გაჯავრდა, სადილიდანაც გაგდებას მიპირებდა.—გინდათ ჩემი კაკი წამართვათ და მომიკლათ, ავთმყოფია და ვერ გაგატანთ! მე ცხარე ოფლში ვაფიქრებ—კაკი კი ამშვიდებდა თავის აღმზრდელს.

სადილის შემდეგ კაკი რამდენიმე ხნით კიდევ მაჩერებდა,

უნდა ყველაფერზე მოგელაპარაკოთ, მაგრამ გაცხარებულ კატოსაგან მალე თავის დაღწევა ვარჩიე.

ეს ამბავი თბილისში დაწვრილებით ჩავიტანე და სილიბისტრო ჯიბლაძეს გადავეცი. ალბათ ამით აიხსნება, რომ სილვამ ნოე ქორდანიას მისწერა, რომ თავის ჩარევით ირაკლის კანდიდატურა გაემაგრებია კატოს შემოტევისაგან, თორემ ირაკლი, ვიმეორებ, ერთი წუთითაც კი არ შეეყოყმანებულა: პირიქით, იგი პარტიის ნდობამ გამოაცოცხლა და ბრძოლის წყურვილით აავსო. ზოგს მაინც ეხსოვება, რომ პარტიას არ დაუვალებია, მაგრამ თვითონ მოისურვა საარჩევნო კამპანიაში ჩარევა. არ დაერიდა თავის ავთომყოფობას. მოგვდიოდა გაზეთში კორესპონდენციები, მისი გამოსვლებით აღტაცებულ ამხანაგებისგან. მართალია მაშინ ქართული საზოგადოება, მთელი გლეხობა, ყველა მშრომელები, სოფლის და ქალაქის წვრილი ინტელიგენცია, უკვე ჩვენი პარტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ასე რომ აუდიტორიის ხელში ჩაგდება ირაკლის არ სჭირდებოდა. მაგრამ ქუთაისი ხომ ინტელიგენტების ქალაქი იყო. და ხალხის დიდ ენთუზიაზმს იწვევდა ის, რომ იგი ასე ღრმა გონიერებით, მოფიქრებული სიტყვებით, ორიგინალური საბუთებით და მომხიბვლელი ორატორული ნიჟით, არა თუ უმკლავდებოდა, არამედ აშკარათ ჯობნიდა თავის მოპირდაპირე ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს. ხოლო როცა ის პეტერბურგისკენ მიემგზავრებოდა, დეპუტატთა არჩეული, მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო, რომ ირაკლი გვასახელებდა. და თქვენ იცით, არ გაუცრუებია მას ჩვენი იმედი. ცხობილია, რომ მან მთელი რუსეთის სივრცეზე თავის პირველ მქუხარე სიტყვისთანავე მოხიბლა არა მარტო რევოლუციური წრეები, არამედ რუსეთის ფართო ინტელიგენტური საზოგადოებრიობაც. ყველა გაზეთები ერთსულოვანი იყო იმაში, რომ ამ ახალგაზრდა ქართველმა დეპუტატმა (ზოგი წერდა კავკასიელმაო) საშიშ მოპირდაპირეს, მაგარ მქერმეტყველ პრემიერ მინისტრს, სტალიპინს—პირველი საჯარო მარცხი მიაყენა. ვეფხის ნახტომს ადარებდენ მაშინ გაზეთები ირაკლის შეტევას და გამარჯვებას ულოცავდენ ახალგაზრდა ორატორს.

თქვენ იცით, დიდხანს არ გაგრძელებულა მეორე სათათბიროს არსებობა. იგი ვარეკეს, სოც.-დემ. ფრაქცია— E0 კაცამდე—დაატუსაღეს და სამართალში მისცეს. მაშინდელი ბოლშევიკების ლიდერი, ალექსინსკი (ახლაც უცხოეთშია) მაშინვე გაიპარა. ირაკლისაც ჰქონდა სრული საშუალება გადაძლ უღიყო. ასე ურჩევდენ კიდევ ზოგიერთები. მაგრამ როგორც მეთაურმა, მან თავისთვის მორალურად მიუღებლად ჩასთვალა ამხანაგები მიეტოვებია: მან მათთან საერთო ხვედრის გაზიარება არჩია!—პოლიტიკურ მებრძოლს, საქვეყნო, ღია ასპარეზზე მდგომს, არ შეშვენის გადამალვა, მან ხალხს უნდა ი

სცეს ანგარიში, თუნდ უსამართლო სასამართლოს წინაშე წამდგარმაო,—ასეთი იყო მისი შეხედულება. და ის კიდევ წარსდგა სასასართლოს წინაშე. თქვენ იცით. მას 4 წლის კატორღა და სამუდამო ციხიბირი მიუსაჯეს. კატორღა—წლის ციხით («კრეპოსტ») შეუცვალეს, ავადმყოფობის გამო. მასთან ერთად ასევე შეუცვალეს კატორღა ციხით არჩ. ჯაფარიძეს, გერასიმე მახარაძეს, ჭოლა ლომთათიძეს—როგორც დასწეულელებულთ. გეცოდინებათ არჩილ ჯაფარიძე ციხეში გარდაიცვალა, ჭოლა ლომთათიძე—ციხეს გადაურჩა, მაგრამ ციხიბირში გავზავნილი, ეტაპით, ე. ი. სატუსაღოდან-სატუსაღოში თრევით, სარატოვში გარდაიცვალა. ორივე დიდის ამბით იქნა ჩამოსვენებული და დასაფლავებული საქართველოში. ეს იყო ქართველი ხალხის უდიდესი პატივისცემა ხალხის ინტერესებისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსენისა. და როცა ირაკლი წერეთელს ვიგონებთ, მისი ახლობელი ქართველი თანამემბროლები—არ შემეძლო არ მომეხსენებია. ვერ წარმოიდგენთ, რა ძმური და მეგობრული ურთიერთობა ქონდათ მათ ერთმანეთში!..

აქ უნდა გვიამბოთ ირაკლი წერეთლისგან მოსმენილი ერთი ამბავი ჭოლა ლომთათიძეზე. რადგან ეს დამახასიათებელია. შეიძლება წაკითხული გქონდესთ ჭოლას დღიურები, ბოლშევიკებისგან გამოქვეყნებული «მნათობი». ეს იყო მეორე მსოფლიო ომამდე. იქ ჭოლა ლომთათიძე აგვიწერს კამათს და აზრთა სხვადასხვაობას, რომელიც გასამართლების წინ ქონდათ დატყვევებულ დეპუტატებს. ზოგი მომხრე იყო სიტყვით გამოსულიყვენ სასამართლოში, ზოგი კი ფიქრობდენ, რომ მხოლოდ ვეკილებს ელაპარაკნათ.

არ ვიცი, თვით ჭოლასი იყო, თუ ბოლშევიკების ჩამატებული, მაგრამ ირაკლი და ზოგი სხვებიც მწარე სიტყვებით იყვენ მოხსენებული. მე ეს დღიური ირაკლის ვაჩვენე და იცით რა მითხრა?.. ჭოლა ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა იყო, მეტათ გონება-მახვილი, სათათბიროშიაც მეტათ ფეხიელი და და ხშირად მოსწრებული რეპლიკები იცოდაო. რაც დაუწერია, თუნდა მისიც იყვეს. მაგას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო.

პასუხი, როგორც ხედავთ დამახასიათებელია ირაკლის ბუნებისთვის. იგი მასთან გატარებულ ამხანაგობას თანამემბროლობას უფრო აფასებდა, ვინემ მისი პიროვნების მკაცრად მოხსენებას. მაშინვე ვიფიქრე, ამას მეგობრული სულის შენახვა ყველაფერს ურჩევნია მეტქი და აღარ მიეძალეზივარ. ეს იყო უკვე ემიგრაციაში.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ამბავთა ქრონოლოგიურ მსვლელობას. მეორე დუმის დეპუტატების გასამართლება დახურულ კარებში მოხდა. ირაკლის და სხვების სიტყვები, სასამართლოში წარმოთქმული, არალეგალურათ დაიბეჭდა საზღვარკარეთ. მაშასადამე იგი არ დაიკარგება ისტორიისათვის.

ამის შემდეგ ირაკლის მხოლოდ ციმბირში შევხვდი ომის დროს. მაგრამ სანამ ამაზე გადავიდოდე, მინდა მოგახსენოთ შემდეგი: ირაკლის მამაცური მოქმედებით გატაცებული იყო მაშინ მშრომელთა ფართო წრეები. აი ერთ მოგონებას მოვიყვან აქ ნიკო იმნაიშვილისას, თუმცა მეც შეეხსწრებივარ ასეთს: «ქუთაისში ირაკლის სიტყვა, დეპუტატობის დროს წარმოთქმული ბევრმა ზეპირად იცოდა. ხოლო პოეტ ვარლამ რუხაძეს ირაკლისთვის ლექსი ქონდა მიძღვნილი: «არწივი», როცა ლიტერატურულ ან სხვა საღამოზე ვარლამი სცენაზე გამოვიდოდა თავის ლექსებით, მთელი დარბაზი, განსაკუთრებით ქანდარიდან მდაბიო ხალხი უყვიროდა: არწივი, არწივი, და როცა პოეტი დაათავებდა, რომ ახალგაზრდა არწივი გასტეხს გალიის კედელს და განთავისუფლდებოდ, ტაშის გრიალს სახლვარი არ ჰქონდა...

სულ რამდენიმე თვე გაატარა ირაკლიმ ღია, საჯარო ასპარეზზე და ასეთი სიყვარული კი დაიმსახურა!

მოგახსენეთ, რომ ირაკლის შევხვდი შემდეგ 1915 წელს ციმბირში, ირკუსტკში, სადაც თავმოყრილი იყო თითქმის ყველა გადასახლებული და კატორღა-გამოვლილი რევოლუციონერები, მათ შორის ბენია ჩხიკვიშვილი დაოჯახებული და თბილისელი განვითარებული მუშა დათიკო დვალი, ორნივე მსხვერპლი გახდნენ კომუნისტური ტერორისა საქართველოში. ირაკლი ირკუსტსკიდან 60 კილომეტრზე ცხოვრობდა, როგორც ავთიმყოფი, სოფელ «უსალიეში», საიდანაც ყოველ შაბათ-კვირას ჩამოდიოდა ირკუსტსკში ერთი პოლონელი გადასახლებულის, რევოლუციონერის, იოსებ ივანეს ძე რინკევიჩის ოჯახში, სადაც იკრიბებოდნენ ყველა პოლიტიკურები. ადვილი წარმოსადგენია, რა სიხარული განიცადე, როცა ახალგაზრდობის მეგობარს შევხვდი. ირაკლიც არანაკლებ ნასიამოვნები იყო. მასთან ჩემ მეგობრულ მუსაიდზე ახლა არაფერს ვამბობ. მე პეტერბურგიდან ვიყავი გადასახლებული და იქაური ამბები ჩავუტანე. პოლიტიკური მდგომარეობა ავუწერე. მაშინ ერობათა და ქალაქთა კავშირები იყო შემდგარი, ლევიის თავმჯდომარეობით და ამ კავშირის გამგეობა პეტერბურგში მომავალ მთავრობათ იყო მიჩნეული. მე გამაკვირვა იმან, რომ ჩემი მოხსენების შემდეგ ეს ძველი გამობრძმედილი რევოლუციონერები—ყველა ირაკლის მიაჩერდა; აშკარა იყო, მისგან მოვლოდენ ნათქვამის შეფასებას... სჩანდა ის იყო ყველასგან ცნობილი, როგორც იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელი, განურჩევლად პარტიისა: ესერების, სოც.-დემოკრატების, ბუნდოელების, (ებრაელთა სოც.-დემ. ორგანიზაციის) და თვით ბოლშევიკებისგანაც. ეს შთამუქდილება შემდეგმა შეხვედრებმა საბოლოოთ განამტკიცა ჩემში. აქ დასახასიათებლად აღვნიშნავ მხოლოდ ორიოდე ფაქტს. ერთი იყო, სოც.-რევ. გოცის თანხით კრებულის გამოცემა ომის და ზავის საკითხებზე. ამ კრებულში

ირაკლიმ მოათავსა მაგისტრალური წერილი ომის საკითხზე ყვირილელის ფსევდონიმით. ამავე ფსევდონიმით სწერდა ის «კვალში». რამდენიმე თვის შემდეგ კრებულის გამოსვლიდან მოგვივიდა წერილი ქენევიდან, იქ გადახვეწილ რევოლუციურ მოღვაწეების და ლიდერებისაგან, რომელთაც კრებული მიეღოთ. ვინ არის ეს ყვირილელი. აქ ყველა გააცვიფრა და გააკვირვა მისმა ფართო აზროვნობამ და ღრმა ანალიზმა... ხმა დადის წერეთელიაო. შეგვატყობინეთ, მართალია ეს ხმები, თუ არაა. ეს უკვე დიდი შეფასება იყო, რამაც ირაკლის პრესტიჟი კიდევ უფრო ასწია.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ დიდ რევოლუციურ საკითხებთან ერთად ირაკლის არ ავიწყდებოდა თავის ქვეყანა — საქართველო და იქაც ქართულ სოც.-დემ.პარტიულგაზეთს, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს თითქმის განუწყვეტლივ გამოდიოდა, წერილებს აწვდიდა. ახლა არ მქონდა საშუალება ყველა გადამეთვალყურებინა, მაგრამ ორი მათგანი მახსოვს. ერთი იყო ეგნატე ნინოშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის, მისი ბელეტრისტული ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. მეორე, ჩვენთვის ამ უამათ უფრო საყურადღებო, იყო ვრცელი ფელეტონი შემდეგი სათაურით «როგორ გავხდი სოციალდემოკრატი». მაშინ ირაკლი 34 წლის მომწიფებული ადამიანი, წერდა იმას, რაც მე ჩემი მოგონების დასაწყისში მოვიხსენე, რომ ის ეძებდა ძალებს და საშვალელებს საქართველოს ეროვნული აღორძინებისას, და ამ ძიებამ მიიყვანა იგი მშრომელთა კლასთან და მისი მოძრაობის რიგებში ჩააყენა.

ასეთი გზა სხვა ინტელიგენტებსაც ქონდა ჩვენში გამოვლილი. მაგრამ ირაკლი წერეთლისთვის ეს იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ მაშა მისი, გიორგი, და მთელი პლევადა მაშინდელი ინტელიგენციის ამ ეროვნულ კითხვას სულ სხვა მხრივ და სხვა საშუალებით უპირებდა გადაჭრას. ირაკლი მათ წრეში იზრდებოდა და ამ ეროვნულ პრობლემას კი თავისებურად სჭრიდა. ამჟამად მთავარია ის, რომ ირაკლი წერეთელი ამანე ფიქრობდა და წერდა იქ, ციმბირში, სადაც მას მთელი გარშემორტყმული რევოლიუციური საზოგადოება საერთო ლიდერათ და რევოლუციის სენდისათ თვლიდა. ის კი სწორეთ მაშინ სწერდა თავის აღსარებას, თავის გულის ნადებს, თავის მრწამსს, რომ საქართველოს ბელზე ფიქრი იყო და დარჩა მთავარი გამოსავალი წერტილი მთელი მისი მსოფლმხედველობის და ფართე მსოფლიო ასპარეზზე მოღვაწეობის.

მეორე ამბავი იყო, როცა რევოლიუციამ იფეთქა. ირკუტსკში აღმოსავლეთ ციმბირის გენერალ გუბერნატორი კნიაზევი პეტერბურგიდან მოსულ დეპუტებს მალავდა. მხოლოდ რკინისგზაზე მოსამსახურეებს მოუვიდათ ბრძანებულება, რომელსაც ხელს აწერდა კომისარი ბუბლიკოვი. იქ

არც კი გავგონათ წინეთ ასეთი გვარი. მე მკითხეს, თუ იცნობო! ვუპასუხე— დემოკრატიულ ჯგუფის წევრი დეპუტატია მეტი. მას რევოლუციუცია მომხდარაო, დაასკენეს ერთხმად. ყველასათვის პირველი ნაბიჯი იყო ირაკლის გამოცხება უსოლიდან. მაგრამ მან არ დაიჯერა: თქვენ გინდათ ამ სიცივეში ჩამომიტყუოთ ირკუტსკში. მე აქ ვისვენებო. მაშინ, მახსოვს, გერასიმე მახარაძე მივიდა ტელეფონთან და უთხრა: აი ასეა საქმეო და მოუყვა ბუბლიკოვის ამბავი.

ირაკლიმ ბოლოს დაიჯერა, რევოლუციუცია დაწყებულაო და ჩამოვიდა. მხოლოდ მისი ჩამოსვლის შემდეგ ამოძრავდა მთელი რევოლუციური საზოგადოება: გენერალ გუბერნატორს მოსთხოვეს პასუხი, გამოაქვეყნებინეს მეფის გადადგომის ცნობა; შედგა ახალი მმართველობა, რევოლუციური რასაკვირველია, ირაკლის თავმჯდომარეობით. თვით კინაზევის დასატუსაღებლად ირაკლი იქნა გაგზავნილი. ბენია ჩხიკვიშვილმა უანდრების მეთაურების დატუსაღების ნებართვა ითხოვა და მიიღო. ირაკლიმ, თავის დიდსულოვნობით, კინაზავი, შინეურ ტუსაღათ დასტოვა და მალე პეტერბურგში გაგზავნა დროებით მთავრობის განკარგულებაში.

მალე გამოვიდა მანიფესტი პოლიტიკურთა განთავისუფლების და სახელმწიფო ხარჯზე შინ მათი დაბრუნების შესახებ...

გადაწყდა ყველა პარტიის მეთაური წევრები და მათან ირაკლიც პირდაპირ გამგზავრებულყვეს პეტერბურგში. ირკუტსკის აღმასრულებელ კომიტეტის დიდ უმრავლესობასთან ერთად მეც პეტერბურგისკენ გავსწიე. გზაში სულ იმაზე იყო ლაპარაკი, რომ პეტერბურგში მიგყავს ნამდვილი ლიდერი რევოლუციის, რომელიც მისვლისთანავე უნდა ჩადგომოდა მას სათავეში. ბევრის აზრი იყო, რომ მეთაურობა და თავმჯდომარეობა მუშათა საბჭოსი აუცილებლად ერთი კაცის ხელში ყოფილიყო.

მე ირაკლის ქართულათ ვუთხარი, კარლო უბადლო თავმჯდომარეა და შენც რომ ნახავ, ამაში დარწმუნდები თქო. როცა პეტერბურგში ჩავედი. კარლოს თავმჯდომარეობა განვიცადეთ და მისი აზრები ირაკლიმ გაიცნო, გადაქრით მითხრა, დიდებული თავმჯდომარეა, უნდა ის დარჩეს თავმჯდომარეთ და მე პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამით ერთი ორათ უფრო გამიადვილდებაო. ასე დამეგობრდენ ეს ორი დიდი ქართველი მოღვაწე, რომელთაც შემდეგ მთელ ქვეყნიერობაზე გაიტანეს საქართველოს სახელი.

პეტერბურგიდან ნოე ხომერიკთან ერთად მალე გავეშურე საქართველოსკენ.

შემდეგ ირაკლის შევხვდი, როცა ის პირველათ ჩამოვიდა საქართველოში, რუსეთში რევოლუციის დამარცხების შემდეგ. მახსოვს კარგათ მისი და ნოე ჟორდანიას შეხვედრა, მათი პოლიტიკური სიტყვები—საჯარო პაექრობა. მაგრამ

ყველა ამის დაწვრილებით მოყოლა შორს წაგვიყვანდა. ვფიქრობ ამ ქამად საკმარისი იქნება გავიხსენოთ ირაკლი წერეთლის როლი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში. თქვენ იცით, რომ პირველად ამიერ-კავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა იქნა გამოცხადებული, რაშიაც ოსმალეთის ერთგვარ ძალდატანებასაც კონდა ადგილი.

სოც.-დემოკრ. ფრაქციის წევრები სეიმში, ყველა მომხრე იყო დამოუკიდებლობის. მხოლოდ ნოე ჟორდანიას და ირაკლი წერეთელი სახიფათოდ თვლიდნენ ოსმალეთის კარნახით მოქმედებას, რომელსაც მათი აზრით ჩვენი ერისათვის და საერთოდ თავისუფლებისათვის დიდი ზიანის მოტანა შეეძლო. მათ გვთხოვეს: ჩვენ ორი დაგტოვეთ მძევლად, რომ რაიმე საფრთხე გაჩნდეს, ჩვენი უარყოფითი ხმაც გამოადგება პარტიას და ქვეყანას. ამის ნება არ მივეცით, დისციპლინა მოვთხოვეთ. თავშეკავების უფლება გვთხოვეს—არც ეს დავეუთმეთ. დაგვემორჩილენ, მაგრამ ერთი გაუთვალისწინებელი მოვლენით ისარგებლეს: კენჭის ყრის დროს ორივენი სეიმის ბუფეტში აღმოჩნდნენ, და ჩაის მიირთმევდნენ. ეს ლეგალური გზა იყო მათთვის, და არავის საყვედური არ გვითქვამს. მაგრამ ირაკლის კი დავადევით ერთი დიდი მოვალეობა. მაშინ თბილისში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო არსებობდა. ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე, სოც.-რევ. დანსკოი, ილაშქრებდა რუსეთისგან ასეთი გამოყოფის წინააღმდეგ. პასუხის გაცემა იყო საჭირო და ეს დავავალეთ ირაკ. წერეთელს. ცოტაოდენი მოლაპარაკების შედეგათ მან ეს დავალება მიიღო და მეორე დღეს ისეთი მჭერმეტყველებით ამტკიცებდა კავკასიის ერთა უფლებას გამოეცხადებიათ თავის დამოუკიდებლობა, რომ დონსკოი პირდაღებული დარჩა და არ იცოდა, რა ეპასუხნა. ირაკლის არ დაუმაღავს, რომ სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრებით იგი არ იყო მომხრე—ამ ქამათ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა.—მაგრამ შემცდარიც რომ იყვნენ ეს ერები, თქვა მან, რაკი მათ ასე სურთ, ჩვენ ყველანი უნდა ამოვუდგეთ გვერდში, გავამაგროთ, გავამტკიცოთ, და არა ზურგიდან ჩავცეთ ხანჯალით და სხვ. მე გადმოვვციტ მხოლოდ არსებითი აზრი მისი ნათქვამის, რაც დამამახსოვრდა იმიტომ, რომ განსაკუთრებულ პირობებში იყო წარმოთქმული.

რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობას—ამაზე ირაკლისგან არც დავა ყოფილა, არც შეყოყმანება!

პირველი ამის საბუთი თუნდაც ის არის, რომ 26 მაისს დილით, სეიმის უკანასკნელ სხდომაზე, სწორედ ირაკლი წერეთელმა ამიერ-კავკასიის ერთა წარმომადგენლების წინაშე თავის კლასიკურ სიტყვაში ყოველ მხრივ დაასაბუთა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობა, საჭიროება, სარგებლობა, როგორც ქართველი ერისთვის,

რომელმაც უნდა თავის თავს უშველოს, ისე მეზობელ ერებისთვის, რომელთაც შემდეგ მან სოლიდარობისა და თვის საკუთარი ინტერესებისთვის უნდა დახმარების ხელი გაუწოდოსო.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მთელი მისი მუშაობა და მოღვაწეობა—ახლად აღორძინებულ რესპუბლიკის გამაგრებას და განმტკიცებას ემსახურებოდა. ბევრს გეცოდინებათ, რომ საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობის თავმჯდომარე იყო ნოე რამიშვილი. მან ამცნო მთელ მსოფლიოს დეპეშით ახალი რესპუბლიკის დაარსება, ახალი ერის მსოფლიო ოჯახის კარებზე დაკაკუნება. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გადაწყდა ქვეყნის გაძლოლა ნოე ჟორდანიასთვის ჩაგვებარება. ამის ინიციატორი და გამტარებელი იყო ირაკლი წერეთელი. მან დააჯერა ჯერ ნოე ჟორდანიას, რომ ის, როგორც ლიდერი, უნდა ჩადგომოდა სათავეში ქვეყნის მართვას, რადგან ამაზე უფრო დიდი და უფრო საპასუხისმგებლო საქმე ქვეყანას არ ქონდა, არც პარტიას, არც რევოლუციურ ორგანიზაციებს, რომელსაც ნ. ჟორდანიას მაშინ მეთაურობდა. ეს ახრი მიადებინა ს.დემ ფრაქციასაც, რომლის თავმჯდომარე ის იყო: საბუთად ის მოქონდა. რომ ასე იქცევა იხგლისის სანიმუშო დემოკრატია, ასე უნდა მოიქცეს ქართველი სოც.დემოკრატია, რათა ყველამ იგრძნოს, რომ პარტიას მთელი თავისი ძალა, პრესტიჟი და შესაძლებლობა დამოუკიდებელ სახელმწიფოს გასაძლიერად აქვს დადებულიო.

ფრაქციაში ბევრი ჯიუტობდა, სხვა თავმჯდომარემ თუ შეცდომა ჩაიდინა, ადვილად გამოგცვლით. ნ. ჟორდანიას კი ვერაო. ირაკლი კი პირიქით, სწორეთ ასეთ გამოცვლის წინააღმდეგი იყო. საუკეთესო ძალა, პარტიის სახელი და დიდება—მთლიანად უნდა ჩავდვით ერის სამსახურში და არა გამოცვლაზე ვიფიქროთო. სამი დიდი პოსტი სახელმწიფოში სამ დიდ კაცს ეჭირა: მთავრობა ჟორდანიას, პარლამენტის თავმჯდომარეობა კარლო ჩხეიძეს. ს.დ. ფრაქცია—ირაკლი წერეთელს. ნოე რამიშვილი დიდი სახელმწიფო კაცი იყო და მისთვის შიხაგან სამინისტრო ზედგამოჭრილი იყო: სახელმწიფო აპარატი, შინაგანი წესრიგი მას უნდა შეეყმნა. ეს როლი მან ღირსეულად შეასრულა.

მალე ირაკლი წერეთელი და კარლო უცხოეთში დაგვეპირდა გამოსაგზავნათ: საქართველოს უფლებათა ცნობის, ახალი რესპუბლიკის საერთაშორისო ოჯახში შესვლისთვის უნდა დაედვით მათ სასწორზე თავის დიდი სახელი. რომელიც რუსეთის რევოლუციაში მოიპოვეს. თავის ნაცნობება ესარგებლათ და იცით. მათ ამ მიზანს კიდევ მიაღწიეს.

კერძოდ ირაკლი წერეთლის ინიციატივას ვკუთვნი ჩვენი სოციალისტური დელეგაციის ჩამოსვლა და თქვენ იცით, რა დიდი პროპაგანდა გასწია ამ დელეგაციამ, კ. კაუცკიმ,

მაკდონალდმა, რენოდელმა, ვანდერველდემ და სხვებმა, რომ საქართველოს სახელი, მსოფლიოსთვის უცნობი, პოპულარული გაეხადათ.

ჩვენ რომ ფაქტიური და იურიდიული ცნობა მივიღეთ, ამასიცი ირაკლის დიდი ღვაწლი მიუძღვის.

ვაი, რომ მუხთალმა მტერმა მალე შებოქა ჩვენი ერის თავისუფლება. და ჩვენ უცხოეთში მოგვიხდა გადმოსვლა! ირ. წერეთელი ამის შემდეგაც დიდსა და დაუღალავ მუშაობას აწარმოებდა ჩვენი უფლებების შენარჩუნებისა და დაცვისათვის. ოფიციალური ელჩის, აკაკი ჩხენკელის მოღვაწეობის გვერდით, ირაკლიც თავის ფართე ნაცნობობით პოლიტიკურ წრეებში და მეგობრებით დადიოდა, პასუხისმგებელ პოლიტიკურ პირებთან და საქართველოს ბედის შებრუნებას ცდილობდა.

ირაკლი იყო ამ მიზნით ინგლისის საგარეო მინისტრ კერზონთან, რომელთანაც მას თან მიჰყვა მეორე მინისტრი, ჰენდერსონი. მაკდონალდს, როცა მან საბჭოთა რუსეთი იცნო, ირაკლიმ გააკეთებია რეზერვი საქართველოს შესახებ. ირაკლი მივიდა საფრანგეთის პრემიერ ერიოსთან, როცა მას საბჭოთა ცნობა ქონდა გადაწყვეტილი. დეპუტატ რენოდელის თანხლებით მოლაპარაკა და საქართველოსთვის მასაც რეზერვი გააკეთებია.

ირაკლი წავიდა პრეზიდენტ პუანკარესთან, და თან წაიყვანა საფრანგეთის წარმომადგენელი ერთა ლიგაში—პოლ ბონკური. რომ რუსეთთან მოლაპარაკებაში მას საქართველოს ინტერესები დაეცვა.

მოკონებათა რითში კიდევ გრძელია. მაგრამ ამჟამად ამით უნდა დავკმაყოფილდეთ.

შემდეგ რაც განსხვავება და აზრთა სხვადასხვაობა ატყდა ჩვენ მეთაურთა შორის: ამაზე უნდა დაახლოვებით იგივე გითხრათ, რაც ირაკლიმ ქოლა ლომთათიძის დღიურის შესახებ მიპასუხა: დიდათ ზრუნავდენ ყველანი ჩვენი ქვეყნისათვის. ბევრს იღვწოდენ. დეაც ჩვენი ერის უფლებათა აღდგენის საუკეთესო საშვალეებზე ქონდათ. ისტორია—ყველას თავის ადგილს მიუჩენს!

ახლა კი უნდა დავათავო იმით, რითაც დავიწყე:

ჩვენ განა შეგვიძლია. თუნდ ერთი წუთითაც ვავივლოთ აზრათ, რომ ამ დიდ ადამიანს, ირაკლი წერეთელს, მთელი თავისი მოღვაწეობა, საქართველოს მაშტაბით, მთელი რუსეთის მაშტაბით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რაც ერთ მკვიდრათ ჩამოყალიბებულ აზროვნებაში ქონდა შეერთებული, შედუღებული, საქართველოსთვის მოსახმარად უნდოდა? რომ იგი მსოფლიო ასპარეზზე იცავდა ქართველი ერის ღირსებას და უფლებებს, იცავდა ჩვენი ხალხის თავისუფლებას იმ საერთაშორისო დემოკრატიულ ძალთა ურთიერთობაში, რომელიც უნდა გახდეს მტკიცე და ურყევი საფუძველი დი-



30273

დთა და მცირე ერთა უფლებებისა და დამოუკიდებელი არსებობის უზრუნველმყოფელი.

აი, ჩემო თანამემამულენო, მკრთალი სურათი იმ დიდი პიროვნების, რომელიც გიორგი წერეთლის უნცროსი ვაჟი იყო, და მამის და შვილის, ორივე თაობის დიდ ისტორიულ მოვლევობას ასეთი თავდადებით. შეუპოვრობით, მკვეთრი ლოლიკით, მწყობრი თვალსაზრისით იცავდა და ჩვენც ანდერძათ მისი დაცვა დაგვიტოვა.

დიდება მის სახელს! იგი სიამაყეა ქართველი ერის, სიამაყეა ყველასათვის განურჩევლათ მიმართულებისა. და ასეთი დარჩება ყველა ქართველის გულში სამარადისოდ!

ბოლშევიკური ტყუილები.

მოსკოვის იმპერიალისტების ქართველმა აგენტებმა ისტორიაში პირველად მზეზედ გამოიტანეს და ხალხს აუწყეს მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორცაა 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება, სადაც ლენინი იურიდიულად სცნობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

კრიტიკოსი სიხარულიძე 1961 წლის იანვრის ყურნალ «დროშაში» ამ ისტორიულ დოკუმენტს მოსკოვის კარნახით საძაგლად ამანინჯებს.

ის ამბობს: «1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება საქართველომ დაარღვია, რადგან საქართველოს ტერიტორიაზედ არ გაუშვეს დამშეული სომხეთისათვის გაგზავნილი ხორბლის ეშალონები».

ჯერ რომ ხელშეკრულებაში ასეთი მუხლი არ ყოფილა და რომც ყოფილიყო ნეიტრალურ სახელმწიფოს აქვს უფლება მის ტერიტორიაზედ ეშალონები არ გაუშვას, მაგრამ რუსეთი ხომ თვით კვდებოდა შიმშილით, მაშ რით იყო დატვირთული ეშალონები?

რომ ხელშეკრულებაში ასეთი მუხლი ყოფილიყო და საქართველოს უარი ეთქვა ეშალონების გატარებაზედ განა ეს არის საკმარისი, რომ მოსკოვის ხელისუფლებას არმიები გამოეგზავნა და ახალ ფეხზედ დამდგარ დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის მონობის უღელი კისერზედ დაედგა?

1930—33 წელში კოლექტივიზაციის შედეგად დამშეული სომხეთისთვის ამერიკას, რომ ხორბლის ეშალონები გამოეგზავნა, გაატარებდა თუ არა მოსკოვის ხელისუფლება მას საქართველოს ტერიტორიაზედ და თუ არ გაატარებდა ქონდა თუ არა ამერიკას უფლება მოსკოვის დასაპყრობად არმიები გამოეგზავნა?

სანამდე მიდის ლოლიკა ყალბის მქნელ სიხარულიძის? მისი აზრით ქვეყანაზედ ეშალონების გატარების ნება ხომ

ყველას უნდა ქონდეს, მამ რასაჭიროა რკინის ფარდების არსებობა? რა დოკუმენტი მოყავს სიხარულიძეს, რომ საქართველომ უარი უთხრა რუსეთს სომხეთისათვის ხორბლის ეზალონების გატარების? რა თქმა უნდა არაფერი. რადგან ასეთი რაიმე მხოლოდ მისი ტვინის მოსკოვის ყაიდაზედ გარდაქმნის გამო, დაჩლუნგების ნიადაგზედ შექმნილი ფანტაზიის ნაყოფია.

სიხარულიძის სიცრუეზედ და მის მასხარა კრიტიკაზედ თვით კომუნისტური პრესა შებრუნებით ლაპარაკობს. აი მაგალითად. 1961 წლის 22 თებერვლის გაზეთ «კომუნისტი» ვიღაც ტრასკუნოვი სწერს: «არმიების ნაწილებში, რომლებიც განლაგებული იყვენ საქართველოს საზღვრებზე ყაზახ-აქსტაფის რაიონში, ყუბანში და თერგზედ. პოლიტ მუშაკებმა მოაწყვეს ბევრი კრებები და საუბრები, რომელზედაც ეცნობობოდენ საქართველოს მშრომელთა მდგომარეობას».

რა მიზნით იყო განლაგებული საქართველოს საზღვრების გასწვრივ ეს დივიზიები? ვის ესხმოდა თავზედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა? რუსეთის დაპყრობას ხომ არ გვაბრალევენ ტრასკუნოვი? ბოლშევიკურ რეჟიმის დროს ასეთი სცენის გათამაშება გასაკვირი არაა, რადგან ბოლშევიკური იმპერიალისტების თავდასხმა ფინეთზედ რუსეთში ხომ ფინეთის თავდასხმად იქნა მონათლული!

საქართველო თავზედ არავის არ ესხმოდა და არც არასდრს ამაზედ არ ფიქრობდა, რუსეთი კი პირიქით საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან თავის გამოგზავნილი ჯაშუშები და ბანდიტთა ბრბოებით ქართველ მშვიდობიან ხალხს მოსვენებას არ აძლევდა და ფულით თუ იარაღით ამღვრედა წყალს, სადაც შესაძლებლობას ნახულობდა.

საქმე იმაშია რომ როდესაც ლენინი ხელს აწერდა საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებას, იმავე დროს სწორედ მისი ბრძანებით მზადდებოდა საქართველოს საზღვრების გასწვრივ, მის დასაპყრობად ის დივიზიები რომელზედაც ვიგინდარა ტრასკუნოვი ბრძანებს: «საქართველოს მშრომელთა მდგომარეობის» შესასწავლად იყვენ გახლაგებულნი».

აი ბატონო სიხარულიძე სად ირღვეოდა და ვინ არღვევდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას, რომელსაც შენ «ქართველი» საქართველოს აბრალე და დამპყრობელებს ტაშს უკრავ.

იმავე გაზეთში და იმავე სტატიაში მქავანაძის სიტყვებია მოყვანილი «გამანთავისუფლებელი» «ლეგენდარული მე-XI არმიის რიგებში, რომლებიც დიდი ლენინის მითითებით მიდიოდენ საძულველი მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ საქ. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით აჯანყებული მშრომელთა დასახმარებლად».

მაგრამ, «განთავისუფლებიდან» ოთხი წლის შემდეგ იგივე მშრომელები აუჯანყდენ «გამანთავისუფლებლებს». ვის

დასახმარებლად გამოგზავნა დივიზიები ლენინის მემკვიდრეებმა აჯანყებულების თუ საძულველი ოკუპანტების?

გაზ. კომუნისტის იმავე სტატიაში ტრასკუნოვი სწერს «საქართველოში მოსვლის შემდეგ XI არმიამ საჩუქრად გადასცა რესპუბლიკას 31 ვაგონი ხორბალი». ეს უფრო ზღაპარს გაგს. რადგან ჩვენ ხომ ვიცით, რომ თბილისში შემოსვლის თანავე ლენინის სახელზე მოსკოვში მთელი რიგი დატვირთული ვაგონები გაგზავნეს სხვა და სხვა საქონელი, ვითომდა მადლიერ თბილისის მუშებისაგან.

ნამდვილად საქმე იმაშია, რომ სწორედ იმ ჯარების ნაწილებში, რომლებიც განლაგებული იყვენ საქართველოს საზღვრების გასწვრივ და ტრასკუნოვი გვეუბნება «პოლიტმუშაკებმა მოაწყვეს ბევრი კრება და საუბარი, რომელზედაც ეცნობოდენ საქართველოს მშრომელთა მდგომარეობას». მათ ეუბნებოდენ «საქართველოში კანადური თეთრი პურია წადით დაარბიეთ და გაძეხითო».

... «საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება გაადვილა და დააჩქარა საბჭოთა რუსეთის და მისი მამაცი წითელი არმიის დახმარებამ; ეს იყო დახმარება დიდი რუსი ხალხისა» სწერს ტრასკუნოვი იმავე სტატიაში, მაგრამ ავიწყდება მას, რომ 120 წლის წინად იგივე «დიდი რუსის ხალხი» მეფე ერეკლეს მარტოდ მარტო სტოვებდა ბრძოლის ველზედ ონავარი მტერის წინააღმდეგ და ლალატით უკან ბრუნდებოდა, მიუხედავად ხელშეკრულებისა, მოლაპარაკებისა, მაგრამ წითელი არმია ეხლა მოდიოდა, არა ლალატით უკან გაბრუნებისათვის, არამედ დაპყრობისათვის, დამონებისათვის და დარბევისათვის, რომელ მიზნისათვის ის არის შექმნილი დაარსების დღიდან და რომლის უკან არის ამოფარებული დაპყრობითი პოლიტიკა დიდი და შავი რუსეთისა პეტრე დიდის პრინციპებზედ აგებული.

სასაცილოა როცა ტრასკუნოვი იმავე გაზეთში გვიმტკიცებს «ლენინი ცხად ყოფდა ქართველი ხალხის ეროვნულ თავისებურებებს და მისწრაფებების გულისხმიერ ყურადღებთან და მოკვიდებულების ნიმუშებს, ყოველ ღონეს ხმარობდა ს. ს. რ. სუვერენულ უფლებათა დასაცავად».

ასეთი ბინძური სიცრუე მხოლოდ ტყუილების «ფაბრიკანტს» შეუძლია თქვას, რადგან ჯარის გაგზავნა ინტერვენციისათვის ოკუპაციას ნიშნავს, ოკუპაცია კი საერთოდ მომსპობია ერის ყოველგვარი სუვერენული ნიშანწყალისა. იმ დროს როცა ერის სრული დემოკრატიული ფორმებით არჩეული მთავრობა უცხო ძალის შემოსევით იძულებულია დასტოვოს ქვეყანა და ბრძოლა უცხოეთში გააგრძელოს ოკუპაციის წინააღმდეგ, ასეთ შემთხვევაში «ქართველი ხალხისადმი გულისხმიერი ყურადღებთან და მოკვიდებულება» მხოლოდ ბოლშევიკური თეორიისერის განთავისუფლებათა დარუსული იმპერიალიზმის მისწრაფებათა ნიმუშს წარმოადგენს.

ტრასკუნოვს სჩანს ბოლშევიკური ყველაფერი დემოკრატიულად ეჩვენება, ალბად ისიც რომ ერის უმრავლესობას რუსის ხიშტის შიშით უმცირესობა განაგებს, რადგან რუსის დამპყრობელი ხიშტი ყოველთვის ხალხის წინააღმდეგაა მიმართული და ვინც მის წინამდევ ქედს არ მოიხრის მათთვის მზადაა ციხეები, კოცენტრაციული ლაგერები და ხშირად მთელი ერის გადასახლებელი ადგილებიც, აი როგორც ისინი მოექცენ კაბარდო ბალეარების, ყირიმელი თათრების და სხვების გადასახლების დროს. ესეც ტრასკუნოვს «მშრომელი ხალხის მოთხოვნილებად» ხომ არ სურს გაასაღოს?

ჩვენ დაუბოლოვებლად შეგვეძლო მოგვეყვანა, —40 წლის მანძილზე ბოლშევიკურ პრესაში თუ როგორი ტყუილებით კვებავენ მოსკოვის აგენტები ქართველ ხალხს, რომელმაც წარსულში და აწმყოში დაამტკიცა, რომ მას აქვს სრული უნარი მტერი—მოყვრისგან—გაარჩიოს, ტყუილები—სინამდვილისგან და შესაფერი დასკვნებიც გააკეთოს.

მ. ბერძემვილი.

გ ლ ო ვ ი ს ლ ე მ!

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციის ცენტრში—პარიზში —საქართველოს დაპყრობის 40 წლის თავი აღნიშნულ იქნა ერთობით და ერთსულაობით.

პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირმა აირჩია საგანგებო კომისია, რომელმაც წინასწარ დაამუშავა სამგლოვიარო დღის ჩატარების გეგმა. კომისიამ ყველა ორგანიზაციების სახელით გამოუშვა ფრანგულ ენაზე მიმართვა, განათლებულ კაცობრიობისადმი. რომელშიც მოკლეთ მოთხრობილია საქართველოს განმანათვისუფლებელი ბრძოლები—ერის ისტორიული უფლების აღსადგენათ და მოტაცებულ თავისუფლების კვლავ მოსაპოვებლად.

25 თებერვალს ქართულ ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულ მამულიშვილთა მოსახსენებლათ. გაღობდა გუნდი. პანაშვიდს დაესწრო დიდძალი საზოგადოება,—მთ შორის ბევრი საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებიდან და აგრეთვე წარმომადგენლები —საბჭოთა რუსეთისგან დაპყრობილ ერებისა.

26 თებერვალს პოლონელების სახლში შესდგა სამგლოვიარო კრება. დარბაზი მორთული იყო სამეფროვანი დროშებით—ტრიბუნას ამშვენებდა საქართველოს დამოუკიდებლობის ღერბი—შავ არშიებში ჩასმული.

კრება გახსნა საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ლ. ზურაბიშვილმა. თავის მოკლე, შინაარსიან სიტყვაში მოიგონა წარსული ბრძოლები, ეროვნულ

მთავრობის გარდაცვლილი წევრები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ნ. ჟორდანიას და მისი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე. თავმჯდომარემ მოუწოდა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცენ ბრძოლაში დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნას. სიტყვის დასასრულ მთელი საზოგადოება ფეხზე დგება და მღერის ეროვნულ ჰიმნს «დიდება».

სიტყვა ეძლევა პ. სარჯველაძეს, რომელიც ახასიათებს 40 წლის მანძილზე გადატანილ ეროვნულ განმანათავისუფლებელ ბრძოლის ეპიზოდებს. ერის დაუცხრომელ მისწრაფებას განთავისუფლებისადმი... ასახელებს რამოდენიმე განჯიხილ პოლიტიკურ მოღვაწეებს და სახელოვან მხედრებს—ერის შემადგენელ ნაწილებით და მით მთლიანათ გამოხატავს ერისგან გაღებულ მსხვერპლს. ეხება მოსკოვისგან წარმოებულ კოლონიალურ პოლიტიკის შედეგებს—ამავე დროს ერისგან გამკლავების ზოგიერთ ფორმებს, დაბოლოს ითვალისწინებს, იმ ბრწყინვალე მომავალს, რომელიც მოელის ქართველ ერს განთავისუფლებულ მიწა-წყალზე, — შედეგათ დანოჯკიდებულ სახელმწიფოს აღდგენისა.

ბ ნ ელ. პატარიძე გრძნობიერ და შინაარსიან სიტყვაში — უმთავრესად ეხება ქართველი ერის შეუპოვარ ისტორიულ ბრძოლებს, ბრწყინვალე წარსულს და შავ ღლებს და იმ გმირულ თავდადებას, რომლითაც ქართველმა ერმა შესძლო საკუთარი ეროვნული მეობის შენარჩუნება. იგონებს რუსეთისგან ორჯერ ხელშეკრულების დარღვევას და მუხანათურად დაპყრობას. ორატორი გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ ქართველი ერის განთავისუფლება და მომავალი აღორძინება ისტორიულად გარდაუვალაია.

შემდეგ ბ-ნ თოხაძემ, რომელიც მონაწილე იყო საქართველოს სამხედრო სკოლის იუნკერთა თავგანწირულ, სახელოვან ბრძოლებისა თბილისის მალღობებზე შემოსეულ წითელი ჯარის წინააღმდეგ. იგონებს ამ წარსულს და მასთან ერთად 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე გმირ ქართველ მხედრობის წარმომადგენლებს, მათ შორის ქ. ჩოლოყაშვილს და მის პარტიზანულ ბრძოლებს.

დასასრულ თავმჯდომარე კითხულობს თანაგრძნობის და სოლიდარობის წერილებს როგორ უცხო მეგობრებისგან — ისე უცხოეთში არსებულ ქართულ ორგანიზაციებისგან.

ა ბ გ ე ნ ტ ი ნ ა.

არგენტინაში მცხოვრებ ქართველთა სატყვისტომომ ფართეთ აღნიშნა საქართველოს დაპყრობის 40 წლის თავი. ხორვატელების დარბაზში მოწყობილ იქნა სამგლოვიარო სხდომა, რომელსაც გარდა ქართველობისა—სადაც წარმოდგენილი იყო აგრეთვე ალბანიის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, ჩეხების, სლოვაკების ხორვატელების, უნგრეთის, ლიტვიის,

ლატვიის, ჩრდილო-კავკასიის, რუმინეთის და უკრაინის წარმომადგენლები.

საქართველოს სახელით ილაპარაკა ბ. აკ პაპავამ, რომელმაც თავის ვრცელ და დასაბუთებულ სიტყვაში—გაიხსენა ქართველი ერის ბრძოლები, შეეხო დღეს წარმოებულ მოსკოვის კოლონიალურ პოლიტიკას.

ილაპარაკეს აგრეთვე სხვა ერების წარმომადგენლებმა; სამგლოვიარო სნდომის ანგარიში მოათავსეს ადგილობრივ გაზეთებმა, მათ შორის სამხრეთ-ამერიკაში დიდათ გავრცელებულ გაზეთმა «ლა პრანსა»-ამ დღეს უძღვნა ვრცელი წერილი.

მ ი უ ნ ხ ე ნ ი.

ჩვენი პარტიის წარმომადგენელმა გერმანიაში ნიკო იმანიშვილმა—საქართველოს დაპყრობის 40 წლის აღსანიშნავად—დასაბუთებული წერილები მოათავსა გერმანულ გაზეთ «ველტ დე არბაიტ» და «ნოიე ცაიტ»-ში.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ორმოცი წლის ოკუპაციის აღსანიშნავად—უცხოეთში მყოფ სოციალისტ-ფედერალისტებმა გამოუშვეს სათანადო მოწოდება.

ლ ა ჩ რ უ ლ ი თ ა ვ დ ა ს ხ მ ა.

საქართველოს პოლიტიკურ ემიგრაციას ათეულ წლების მანძილზე ღირსეულად უჭირავს თავი და მედგრად იცავს ქართველი ერის უფლებებს უცხოეთის წინაშე ხშირად შიგნით დაყოფილი, საგარეო ფრონტზე გამოდის ერთის პირით, ერთის დროშით, რათა ქართველი ერის სამართლიანი მოთხოვნები წარუდგინოს განათლებულ კაცობრიობას.

ქართველ პატრიოტთა ურყევი რწმენა, თავდადება, თითოეული მათგანის ბრძოლა სიტყვით, ბეჭდვით თუ ორგანიზული წყობით მოსვენებას არ აძლევს ჩვენი ქვეყნის თავისუფლების მესაფლავეთ, რომლებიც პერიოდულათ ანაქლებენ თავდასხმას როგორც თითოეულად პოლიტიკურ მოღვაწეებზე, ისე მთლიანათ ქართულ ემიგრაციაზე. თავის ჩვეულ «ჩეკისტურ» და პროვოკაციულ გამოსვლით იგი ცდილობს დათესოს ქართველობაში ურთ-ერთ შუღლი, დაყოფა, დანაწილება. ამ მიზნით მათ გამოიგონეს დროგამოშვებით ანონიმურ წერილების გზავნა. სადღაც დამალული თხზავენ, იგონებენ ათასგვარ ფანტასტურ ცილისწამებას ამა თუ იმ პოლიტიკურ პიროვნებაზე, მთელს ჯგუფზე. ასეთი ლაჩრული და მალული ცილისწამებით ისინი არცხვენენ ქართველი ადამიანის ღირსებას და საზოგადოებაში მხოლოდ იწვევენ ზიზღსა და აღშფოთებას. ესლა ამ მალულ ფინიებს მიეშველა მიხაილოვის მიერ დაარსებული «სამშობლოში დაბრუნებისთვის»... რომელიც ფერად ფერადათ გვიხატავს საქართველოში—მოსკო-

ვის მიღწევებს, რომლის ნიმუშები საბჭოთა გამოფენაზე «უხვადა» წარმოდგენილია, ანუ უკეთ საქართველოს არც ხსენება და არც ერთი ნიმუში—სამრეწველო მიღწევისა.—თუნდაც ერთი ფოთოლი ჩაი... საქართველოს ხსენებაც კი არაა.

მოსკოვის დაქირავებულ უმაწვილებმა უცხოეთში უნდა იცოდნენ, რომ ისინი მხოლოდ ბლაღავენ ქართველი ადამიანის პირდაპირობას და რაინდობას და აღწევენ საწინააღმდეგო შედეგს...

ქართულ საზოგადოებას ჩვენი გაფრთხილება არ სჭირდება, რომ მან უნდა უარყოს ყოველგვარი უკორები თავის წრიდან. მკიდროთ შეკრან რიგები. დაიცვან ქართული ეროვნული სიწმინდე და უკუაგდონ თავის წრიდან—ყოველგვარი დამარღვეველი გამოსვლები...

იხარი.

კ. კანდელაკის შრომა

«საქართველოც ერდგნული მქურჩივბა» ტ. მე-II

გამოცემა მიუნხენის
სამეცნიერო ინსტიტუტის.

საქართველოს ეროვნულ მთავრობის წევრმა, ფინანსთა მინისტრმა აწ განსვენებულმა კ. კანდელაკმა ქართველ ერს დაუტოვა თავისი შესანიშნავი ნაწარმოები «საქართველოს ეროვნული მეურნეობა». მკითხველი ქვევით გაეცნობა ამ შრომის დასკვნებს, რომლებმაც შეუძლებელია, მას არ აღუძრას სურვილი იგი შეიძინოს და მას საფუძვლიანთ გაეცნოს. განსაკუთრებით ურჩევთ ჩვენ ახალგაზრდობას შეისწავლოს ბ-ნ კ. კანდელაკის წიგნი, რაც მას მისცემს საუკეთესო საშვალელებს გაეცნოს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობის მოკლე, მაგრამ დიდათ შინაარსიან ხანას და იმ ეკონომიურ საფუძვლებს, რომლებსაც მომავალშიაც შეუძლია უზრუნველყოფა მის დამოუკიდებელ არსებობის და განვითარების.

დასკვნა.

ახლა, დასკვნების გასაკეთებლათ, ჩვენ უდაოთ შეგვიძლია თქმა შემდეგის:

1. ძალიან მძიმე იყო ის დრო, როცა საქართველომ, ერთ საუკუნეზე მეტი რუსეთის ბატონობის შემდეგ, კვლავ თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა.

მძიმე იყო ეს დრო, როგორც იმ საერთაშორისო მდგომარეობის გამო, მსოფლიო პირველ დიდ ომს რომ მოჰყვა, ისე საქართველოს შინაურ მდგომარეობის მიხედვითაც, მთელი რიგი განსაკუთრებული მოვლენების გამო, მის შინაურ ცხოვრებას რომ ახასიათებდა.

2. ორივე ეს გარემოება, თუ ზოგ რამეში ამზგავსებდა,

უფრო მეტში ანსხვავებდა საქართველოს მდგომარეობას იმ დროს რუსეთის იმპერიიდან გამოყოფილ სხვა ქვეყნების (ფინლიანდია, ბალტიის მხარის ქვეყნები, პოლონეთი) და ევროპაში ახლად შექმნილ რესპუბლიკების, ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის მდგომარეობისაგან.

ყველა ამ სახელმწიფოებთან შედარებით, დამოუკიდებელ საქართველოს გაცილებით უარეს ეკონომიურ პირობებში უხდებოდა სახელმწიფოს აღმშენებლობა.

3. ამიტომ ბევრნი უწინასწარმეტყველებდნენ დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკას დაღუპვას უფრო ნივთიერ მდგომარეობის გართულებით, ვინემ სხვა მიზეზების გამო.

ცხოვრებამ არ გაამართლა ასეთი განაჩენი: დამოუკიდებელი საქართველო ეკონომიური გასაჭირის ნიადაგზე არ დაღუპულა, და ცოტა უფრო დიდხანს რომ გაეძლო მას, ყველასთვის თვალსაჩინო შეიქნებოდა, თუ რა ადრე და რამდენათ უსაფუძვლოთ ლაპარაკობდნენ ეკონომიურ კატასტროფის შესახებ ჩვენში!

4. სრულებით არ არის საჭირო დაფარვა იმის, რომ დამოუკიდებელ საქართველოს საერთო ეკონომიური მდგომარეობა მძიმე იყო, განსაკუთრებით წარმოება-მრეწველობის და აღებ-მიცემობის დარგში.

შექმნა იმის, რაც საუკუნის განმავლობაში არ გაკეთებულა და აკლდა საქართველოს. შეუძლებელი იყო მისი დამოუკიდებლათ არსებობის სულ მცირე ხნის განმავლობაში. საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ, იარსება სულ ორი წელიწადი და ათი თვე—ეს ის ვადაა, რომლის განმავლ იბაში საპარლამენტო ქვეყნებში ხშირად ერთი მნიშვნელოვანი კანონის მიღებას და ცხოვრებაში გატარებას უნდებოდა ხოლმე!

5. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს არავისაგან არავითარი დახმარება არ მიუღია, იგი საკუთარ საშვალებით ფარავდა ყველა ხარჯებს, რომელთაგან ბევრი სრულიად არაჩვეულებური იყო ხარჯი იყო, დაკავშირებული იმ მძიმე გარდამავალ ხანასთან. და საქართველოს ნორმალურ ცხოვრების პირობებში არავითარი ადგილი მას არ ექნებოდა!

დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს დიდი დეფიციტი ახასიათებდა, მაგრამ უკეთესი არ ყოფილა ამ დროს ბიუჯეტი მრავალ ძველ და ახალ სახელმწიფოების, როგორც რუსეთის ყოფილ იმპერიიდან გამოსულის, ისე ევროპიულის.

6. დამოუკიდებელ საქართველოს უჭირდა, მაგრამ მას არ განუცდია მაინც მეტი გასაჭირი, ვინემ ბევრმა სხვა სახელმწიფოებმა იმ დროს და მეორე დიდი ომის შემდეგ რომ განიცადეს.

7. საქართველოს არც ვალი აუღია და იგი ყოველგვარ

სხვა ვალდებულებიდან თავისუფალი იყო, გარდა მის მიერ გამოშვებულ ქალაქის ფულისა. ის დაფარავდა ხარჯების დიდ ნაწილს იმ წესით, როგორც მის მდგომარეობაში მყოფი მრავალი სხვა სახელმწიფო ფარავს ყოველგან და ყოველთვის: ქალაქის ფულით.

ხოლო მას არც იმდენი დაუბეჭდავს ეს ფული და მის ფულს არც იმდენათ დაქარგვია ღირებულება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მსოფლიო დიდი ომისა და რევოლუციების შემდეგ. როგორც თვით რუსეთში და რუსეთიდან გამოყოფილ ზოგ სახელმწიფოში, ისე ევროპის ზოგ ეკონომიურათ დიდათ განვითარებულ ქვეყნებში.

8. ყველა ამ ქვეყნებში ცოტათ თუ ბევრათ ნორმალური ეკონომიური მდგომარეობა დამყარდა და ფულის ღირებულება გამოსწორდა არა უადრეს 6-7 წელიწადისა ეკონომიურ-ფინანსიურ კრიზისის უმწვერვალესობამდის განვითარების შემდეგ.

საქართველოს არ დასცალდა ამდენ ხანს არსებობა. ხოლო, რადგან მას არც ისეთი კრიზისი განუცდია, როგორც, მიუხედავად გარეშე დახმარებისა ზოგიერთმა დასახელებულმა სახელმწიფოებმა განიცადეს, საქართველოს ეკონომიური აღორძინება უფრო ადვილათ იყო მოსალოდნელი.

საქართველო დაპყრობილ იქნა სწორედ მაშინ, როცა უკვე ჩასახული იყო მისი ეკონომიურათ გამაგრების საშუალებანი და როცა იგი შევიდა საერთაშორისო ოჯახში, როგორც კანონიერი და სრულუფლებიანი წევრი.

9. ამ პირობებში და ამ მცირე ხნის განმავლობაში დამოუკიდებელმა საქართველომ შესძლო და მოასწრო სოციალურ-ეკონომიურ სფეროში:

ა) ლიკვიდაცია კავკასიის ფრონტიდან მოხსნილ და ჩვენში დარჩენილ, დიდნაწილად გაბოლშევიკებული, რუსის დიდძალი ჯარის და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციების, და ამით დიდი საფრთხის თავიდან აცილება; ლიკვიდაცია კავკასიის «სანამესტნიკოს» ცენტრალურ დაწესებულების და რუსეთის ადგილობრივი ადმინისტრაციისა და დაწესებულებების. ყველაფერი ეს დიდ ხარჯს მოითხოვდა;

ბ) ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების გაეროვნება;

გ) დაცვა საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის გარეშე მტერთაგან და დაცვა შინაური წეს-რიგის, რაც აგრეთვე აუცილებელ არაჩვეულებრივ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და ხალხისგან დიდ ენერჯიას, პოლიტიკურ შეგნებას და ეროვნულ დისციპლინას მოითხოვდა;

დ) მეტად რთულის, საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გატარება;

ე) ზოგიერთ ახალ წარმოებათა წამოწყება და ძველისგან ბევრის გამაგრება;

ვ) სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგის ხელახლა ფეხზე წამოყენება და სახნავ-სათეს მიწის ფართობის გადიდება ომის დროინდელთან შედარებით;

ზ) ნიადაგის ჩაყრა გლეხთა გადასახლებისთვის მკიდრით დასახლებულ კუთხეებიდან უფრო ნაკლებათ დასახლებულ კუთხეებში;

თ) საქართველოს უდიდეს მრეწველობის, მარგანეცის წარმოების, გაერთიანება და მისი ექსპორტის ნაციონალიზაცია, მრეწველთა ინდივიდუალურ წარმოების და საკუთრების დაცვით და მთავრობისთვის მოგებაში მონაწილეობის უზრუნველყოფით და ამისთვის მთავრობის მიერ უახლოებლეს კონტროლის გაწევით;

ი) ტყიბულის ქვა-ნახშირის წარმოების ნაციონალიზაცია სახელმწიფოს მიერ მისი გამოსყიდვით, და ამ წარმოების გაფართოება;

კ) მოწყობა კვლევა-ძიების ნავთიან ადგილების და ზოგ სხვა მადნეულობათა საბადოების;

ლ) ზოგიერთ სხვა სამრეწველო საქმეების სახელმწიფოს მიერ ხელში აღება და სახალხო მეურნეობაში საერთოდ ნიადაგის მომზადება იმ ახალ სახის ეკონომიურ საქმიანობისთვის, როცა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობა ამ საქმიანობის აქტიური და პირდაპირი პატრონი და განმკარგულებელი ან მონაწილე ხდება, კერძო დაწესებულებათა და კერძო ინიციატივის გვერდით; ამის მაგალითებს ახლა ბევრს ვხედავთ ევროპის ქვეყნებში, ხოლო იმ დროს ეს ახალი მოვლენა იყო;

მ) დაარსება საქართველოს სახელმწიფო ბანკის ახალ პრინციპებზე და გაადვილება კერძო და საზოგადოებრივი ხასიათის საკრედიტო დაწესებულებათა დაარსების, სახელმწიფო ბანკის და მთავრობის მეთვალყურეობის ქვეშ.

ნ) გაადვილება სააქციონერო და კოოპერატიულ საზოგადოებათა და ამ უკანასკნელთა კავშირების დაარსების;

ო) ერობის შემოღება და ადგილობრივი თვითმართველობათათვის ნივთიერ დახმარების აღმოჩენა მათი აღორძინების და გაფართოებულ საქმია ნობის პირველ ხანებში;

პ) სავაჭრო-სამრეწველო პალატის გახსნა;

ჟ) შრომისა და კაპიტალის შორის ნორმალურ ურთიერთობის დამყარება უფლებრივ ნიადაგზე, თანახმად დემოკრატიულ პრინციპებისა და თავისუფლათ მოწყობილ პროფესიონალურ ორგანიზაციების საფუძველზე სტარტიდო პალატის, კოლექტიურ ხელშეკრულების და მობრივებელ კამერების დაარსებით.

ამიტომ მუშათა გაფიცვებს, მიუხედავად მათ სრულ თავისუფლებისა, დამოუკიდებელ საქართველოში იშვიათად ჰქონდა ადგილი.

რ) დამოუკიდებელ საქართველოში არ ყოფილა უმუშევრობა;

ს) სახელმწიფო გადასახადების ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე გადიდება, ზოგის მათგანის პროგრესიულ-პროპორციონალურ გადასახადის სისტემაზე გადაყვანა, ზოგი ძველი გადასახადის შეცვლა და ზოგი ახალის შემოღება;

ტ) უცხოეთთან სააღებ-მიცემო ურთიერთობის აღდგენა და ქართულ-ფრანგულ და ქართულ-გერმანულ სავაჭრო პალატების დაარსება;

უ) მრეწველობით დაწინაურებულ ქვეყნების დაინტერესება ჩვენში კაპიტალის, ტექნიკურ ცოდნის და ტექნიკურ საშუალებათა შემოსატანათ, ადგილობრივ მრეწველების და სახელმწიფოს მონაწილეობით და სახელმწიფოს კონტროლით, წარმოების განსავითარებლათ;

ფ) საგარეო სესხის მოწყობა (ამით სარგებლობა ფაქტიურათ არ მოესწოა).

ეს კეთდებოდა. ხოლო გაკეთებული საქმე ჯერ კიდევ არ იყო საქმარისი არსებულ საქიროების და არსებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

საქართველოს უმთავრეს საქიროებას მრეწველობის განვითარება წარმოადგენდა, დამოუკიდებელ საქართველოს ყველაფერზე უფრო მტკივნეული ადგილი ეს იყო—მრეწველობის განუვითარებლობა.

არც ერთ ახლად აღორძინებულ სახელმწიფოს მსოფლიოში მარტო თავის-თავის ამარა არ შეუქმნია, არ აღუდგენია და არ განუვითარებია თავის ქვეყნის სახალხო მეურნეობა. ჩვენ დავინახეთ, რამდენათ უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ამ მხრივ—სხვებისგან დახმარების მხრივ—ბალტიის ახალი სახელმწიფოები, პოლონეთი, ავსტრია.

ეს გზა, გზა უცხოეთიდან დახმარების ან სესხის მიღების, არც საქართველოსთვის ყოფილა შეუძლებელი; ხოლო ამ ზომის მიღებას დაავიანდა ევროპის ფინანსიურ ბაზრების და სამრეწველო ცენტრების ჩვენგან სიშორის გამო.

საქართველომ მოახერხა ევროპის ფინანსიურ და სამრეწველო წრეებთან ურთიერთობაში შესვლა, ესენი ნდობით მოეპყრენ დამოუკიდებელ საქართველოს და იქ დადებული პირველი ხელშეკრულებები იმედს იძლეოდა, რომ ამ პირველ ნაბიჯს სხვა უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯები მოჰყვებოდა და საქართველოს ეკონომიურ გაზაგრებას და განვითარებას ის საშუალებაც აღმოუჩნდებოდა, რომლითაც იმაზე ადრე ისარგებლეს ყველა ახლად აღორძინებულმა სახელმწიფოებმა.

ამიტომ: ვინც დამოუკიდებელ საქართველოს ყოფა-ცხოვრებას კარგად გაეცნობა, იგი უნდა გააკვიროს დამოუკიდებელ საქართველოს გამძლეობამ, მისგან მარტოთ-მარტო, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით იმ გარდამავალ დროის გასაქირის ატანამ და აუარებელ მოთხოვნილების თავის გარემოებამ და მისმა პოტენციალურმა შესაძლებლობამ.

საქართველოს უბედურება იმაში იყო, რომ მას სხვებზე უფრო ადრე მოსტაცეს დამოუკიდებლობა ისე, რომ ვერ მოასწრო თავის ეკონომიურ შესაძლებლობათა საფეხებით გაშლა და გამოყენება. სხვებმა უფრო მეტ ხანს იარსებეს და ამიტომ მეტიც მოასწრეს.

იმ გარემოებას, იმას, რომ საქართველო წაიქცა იმ დროს, როცა იგი კიდევ არაჩვეულებრივ პირობებში იმყოფებოდა, ზოგი სარგებლობს დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოებრივ და ეკონომიურ შესაძლებლობათა დასამტკიცებლათ...

Vae victis (ვაი დამარცხებულთ)!

ანგარიშთა გასწორებაში ჩვეულებაა, როცა ბალანსს გააკეთებენ და დაინტერესებულ პირს გაუგზავნიან, ქვევით წააწერენ ხოლმე: «ასეთია ჩვენი ანგარიში, თუ იმაში რამე შეცდომა არ მოხდა ან რამე არ გამოგვრჩაო...»

მეც ამით მინდა დავასრულო ეს ჩემი შრომა: ჩემი სურვილი იყო ჩემს განკარგულებაში არსებულ ცნობების და საბუთების მიხედვით მეხსიერებაში აღდგენა იმ პირობების და წარმოდგენა იმ სურათის, რომელნიც დამოუკიდებელ საქართველოს სინამდვილეს ეკონომიურ და სოციალურ სფეროში გამოხატავდნენ.

ის, რაც საქართველომ შესძლო და მოასწრო გაეკეთებია, მისი ცხოვრების მაშინდელ პირობებში, მოწმობს ქართველი ხალხის სიმწიფეს და საქართველოს ეკონომიურ შესაძლებლობას თავის-თავის პატრონობისთვის; სხვისი მოწყალების შემყურე ის ნივთიერათ არას დროს ყოფილა და თავის მოთხოვნილებებს იგი მარტო-მარტო თავის საკუთარ რესურსებით იკმაყოფილებდა, როგორც დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ, ისე დამოუკიდებელ სახელმწიფოთ არსებობის პერიოდში.

საქართველოს დამოუკიდებლათ არსებობის საშიშროების ძირი სხვაგან იყო ისტორიულათ და იქვე დარჩა: მის გეოგრაფიულ მდებარეობაში და მისი დიდი მუხობლების აგრესიულ განწყობილებებში.

საქართველო ვახდა მსხვერპლი საბჭოთა იმპერიალიზმის უმთავრესი გარანტია მისი ამ ახალი იმპერიალიზმის შემუსვრაა. მთელ კაცობრიობას რომ ემუქრება, და გამარჯვება ნამდვილი დემოკრატიული იდეების, არა მარტო შინ და ჩვენს საკუთარ პოლიტიკაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, საერთაშორისო პოლიტიკაში.



რედაქციისაგან

ტენიკური მიზეზის გამო, «ჩვენი დროშა»-ს ეს ნომერი გამოდის დაგვიანებით.

26 მაისი უცხოეთში.

პ ა რ ი ზ ი.

26 მაისი პარიზის ქართველმა საზოგადოებამ განსაკუთრებულ შინაარსიანად ჩაატარა, რომელსაც ქართველი საზოგადოების გარდა დაესწრო მრავალი დაჩაგრულ-დაპყრობილ ერთა წარმომადგენლები.

სალამო გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ნ. ზურაბიშვილმა. სალამოს თავმჯდომარეობდა ქართველების მეგობარი ფრანგი ბური, რომელიც მეტად მხუთვალედ მიესალმა ქართველ საზოგადოებას და წარმოსთქვა ფრიად საინტერესო პატრიოტული სიტყვა.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ცენტრალური ევროპის ერთა წარმომადგენლებმა.

მიმზიდველი და შინაარსიანი იყო აგრეთვე სალამოს არტისტიული ნაწილი, სადაც მოწაწილეობას იღებდნენ აქ გაზრდილი ახალგაზრდათა მოცეკვავე ჯგუფი და არგენტინელ გიტარისტთა ტრიო.

ს ი შ ი.

ეროვნული დღესასწაული ქ. სოშოში მცხოვრებ ქართველობამ—წელს განსაკუთრებული ერთსულოვნებით და შინაარსით ჩაატარა. ქართველთა სათვისტომოს დარბაზს ამშვენებდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ნოე ჟორდანიას სურათი. საზეიმო სწდომა გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ნ. შავდიამ, რომელმაც მიულოცა ქართველობას ბრწყინვალე დღე, — უამბო დამსწრეთ ქართველი ერისგან გადატანილი ბრძოლის საინტერესო ეპიზოდები. — დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რომ წინ უძღოდნენ. უსურვა დამსწრეთ მხნეობით და გამძლეობით გადატანა ლტოლვილთა ზვედრის, იმედით შეიარაღება, — «ნუ აცდებით ჩვენი ძვირფას პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გზას და იცოდეთ ჩვენი სამფეროვანი დროშა—ჩვენს დედა ქალაქში კვლავ აფრიალდება» — დაათავა თავმჯდომარემ. რის შემდეგ ილაპარაკეს ბ. ბ. ს, ჟორაქაძემ, მ. ელენტმა და ი. სალუქვაძემ.

პატარა გოგი სალუქვაძემ დამსწრეთ მკერდი დაუმშვენა პატარა სამფეროვანი დროშებით.

როგორც ყოველთვის, გრიგოლ ქვარცხავამ თავის მზრუნველობით, ვ. ანზულასტოს და ვლ. სალუქვაძის დახმარებით გამართა საუცხოო ქართული სუფრა, სადაც მიწვეულ ფრანგ სტუმრებმაც დიდად ისიამოვნეს. ლხინმა გასტანა სალამომდე და საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დაიშალა.

ი. ბ—ლი.

მიუნხენი.

26 მაისს მიუნხენში ქართულმა სათვისტომომ გამართა ტრადიციული კრება. თავმჯდომარეობდა სათვისტომოს თავმჯდომარის ამხანაგი ვ. ცხომელიძე. მოხსენება 26 მაისის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ გააკეთა ი. კუჭუხიძემ. ილაპარაკეს აგრეთვე დ. ვაჩნაძემ, ნ. ნაკაშიძემ, ნ. იმნაიშვილმა და გ. ვეფხვაძემ. როგორც მომხსენებელმა, ისე ყველა სხვა ორატორმა მოიგონეს 1918 წლის 26 მაისის მომზადებულნი და დამოუკიდებლობის ხანის მოღვაწენი; აგრეთვე ყველა ისინი, ვინც მსხვერპლად დაეცენ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში.

ბ. ი.

აგვისტოს აჯანყების წლის თავი.

როგორც ყოველ წელს, წელსაც ქართულ სათვისტომოს გამგეობამ მოაწყო აგვისტოს აჯანყების წლის თავი 10 სექტემბერს, სოფელ ლევილის «შატოში». მრავალ რიცხოვან ქართველ საზოგადოების თანდასწრებით მამა ილიამ «შატოს» დარბაზში გადაიხადა წირვა და პანაშვიდი აჯანყების დროს დაღუპულ მამულიშვილთა სულის მოსახსენებლად. წირვის გათავების შემდეგ საზოგადოება გაემართა ლევილის ძმთა სასაფლაოზე, გადმოხვეწილობაში დაღუპულ პატრიოტთა საფლავების პატივსაცემად და მოსაგონებლად.

ადგილობრივ სასადილოს დარბაზში მოეწყო მეგობრული სადილი, რომელიც მოკლე შინაარსიანი სიტყვით გახსნა სათვისტომოს თავ—რემ ბ-ნ ლ. ზურაბიშვილმა, რის შემდეგ იქნა წარმოთქმული მოკლე მაგრამ შინაარსიანი პოლიტიკური მნიშვნელობის სიტყვები სხვადასხვა ორატორების მიერ.

კიტა ჩხენკელი ციურისის უნივერსიტეტში.

ჩვენი თანამემამულე და მეგობარი კიტა ჩხენკელი მიწვეულ იქნა ციურისის უნივერსიტეტში პროფესორად, ამავე დროს მას მიეკუთნა მეცნიერულ დამსახურებისთვის უდიდესი ჯილდო—Docteur Honoris Causa.

უდიდესი კმაყოფილებით ულოცავთ კიტა ჩხენკელს ამ მიღწევებს—ქართული საქმის საკეთილდღეოთ.

ილ. გოლდმანის ავადმყოფობა.

ამერიკიდან გვატყობინებენ,—ჩვენი პარტიის და ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლის ამახ. ილ. გოლდმანის მძიმე ავადმყოფობას.

ჩვენი პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო და «ჩვენი დროშა»-ს რედაქცია უთვლის მზურვალე სალამს ამახ. ილ. გოლდმანს და უსურვებს მას განკურნებასა და სრულ გაჯანსაღებას.

ლადო ბელიაშვილი.

უცაბედი შემთხვევის გამო, პარიზში 1 აპრილს ტრადიკულად გარდაიცვალა ჩვენი პარტიის წევრი ლადო ბელიაშვილი.

ლადო სწავლის გასაგრძელებლად ქვრივად დარჩენილ დედამ უცხოეთში გამოგზავნა. ლადო ბეჯითად დაეწაფა სწავლა განათლებას, მაგრამ ხელისუფლებამ აკრძალა მისთვის სახსარის გადმოგზავნა, ლადო იძულებული გახდა მძიმე შრომისთვის ხელი მოეკიდა. ისწავლა მღებრობა და მით ირჩენდა თავს. განსაკუთრებული შრომის მოყვარე, დინჯი, წყნარი და სამეგობრო, ლადომ—ყველას სიყვარული და პატივისცემა დაიშახურა. თავისუფალ დროს ანდომებდა ლიტერატურულ მუშაობას და შესძლო კიდევ საკუთარი საშვალებით გამოეცა შრომა «ვეფხისტყაოსანზე».

ლადო დასაფლავებულ იქნა ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

დათიკო ფერაძე.

პარიზის ახლო, 21 მაისს, ტრადიკულად გარდაიცვალა ჩვენი ამხ. დ. ფერაძე. ახალგაზრდობიდანვე იგი ირიცხებოდა ჩვენი პარტიის წევრად, პირნათლად ასრულებდა მის დავალებებს. თავდადებით ემსახურებოდა დამოუკიდებელ საქართველოს. უცხოეთში გადმოხიზნული არ კარგავდა რწმენას სამშობლოს განთავისუფლებისას.

ვანო მშვენიერაძე.

3 აგვისტოს უბედური შემთხვევით პარიზში გარდაიცვალა ჯანდონით სავსე ახალგაზრდა ვანო მშვენიერაძე, რომლის დაღუპვამ მთელი ქართული საზოგადოება დაანაღვლიანა, და თვით ფრანგული დაწესებულებების შემადგენლობა. სადაც იგი მსახურობდა როგორც მოფერი, დამწუხრა და დასაფლავების დღეს, რამოდენიმე ათეული მოფერი ავტომობილებით მის პატივსაცემლად დაესწრო დასაფლავებას.

ვანომ თავისი გულკეთილობით, პატიოსანი ყოფა-ქცევით, დაიმსახურა მთელი ქართული საზოგადოების სიყვარული.

დასაფლავებული იქნა ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

1960 წ. 30 ივნისს, პარიზში გარდაიცვალა ი. გობეჩიას მკუდლე, დასაფლავებულ იქნა ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

ამა წლის 21 მარტს, გარდაიცვალა ხერგო ტარნაშვილი. დასაფლავებულ იქნა ს. ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

ამა წლის 25 აპრილს გარდაიცვალა ლ. მარამიძის მკუდლე თამარი. დასაფლავებულ იქნა ლევილის ძმ. სასაფლაოზე.

ამა წლის 4 ოქტომბერს, ქ. არპაჯონის საავადმყოფოში გარდაიცვალა თენგიზ დამიშვილიანი. დასაფლავებულ იქნა ს. ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

ამხ. აღ. მკუბრთაშვილის და ამხ. ერ. რამიშვილის შესახებ ნეკროლოგები დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.